# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 14 ნოემბერი 1998 №208 (743) ფასი 50 თეთრი


RUGBY WORLD CUP 1999

## ნუ ინერვიულებთ, დღეს მაინც წავაგებთ
## ქართველი მორაგბეები ოთხშაბათისთვის ემზადებიან



ზურაბ მექვაბიშვილი

დუბლინიდან

„ფინსთაუნ ქანთრი ჰაუსი" ლუკანში მდებარეობს, ლუკანი კი ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის გარეუბანი, უფრო სწორად, მისი თანამგზავრი პატარა ქალაქია დაახლოებით 12 ათასი მოსახლით, რომელთაც ამ დღეებში კიდევ ოცდაათიოდე ქართველი და რამდენიმე ფრანგი შეემატათ. სწორედ ამ ქართულ-ფრანგული დესანტის გამო პარასკევს, დილა უთენია ლონდონიდან დუბლინს ჩამოვფრინდი, თუმცა XVIII საუკუნეში აშენებული, გოლფის მოედნებით გარშემორტყმული „ფინსთაუნ ქანთრი ჰაუსი" მხოლოდ ორსაათიანი ძებნის შემდეგღა აღმოვაჩინე.

ქართველები „ლენსდაუნ როუდზე" წასულები დამხვდნენ. სავარჯიშოდ არა, უბრალოდ, სანახავად — რაგბი ფეხბურთი არაა და თამაშის წინა დღეს მოედნის საწვრთნელად გამოყენება მიზანშეწონილი არ არისო. როგორც შემდგომ შევიტყვე, მხოლოდ ოთხ ჩვენებურ დამრტყმელს (ბურთის, რასაკვირველია) დართეს მასპინძლებმა ნება, მოედნისა და კარისთვის ალღო აეღოთ.

არა უშავს. სამაგიეროდ, დღეს, თბილისის ახალი დროით 19 საათზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი ამ ცნობილ სარბიელზე, „ლენსდაუნ როუდი" რომ ჰქვია, გვარიანად გაივარჯიშებს. თამაშიო — იკითხავს მავანი და შევახსენებ, რომ დღეს ბორჯღალოსანთა მეტოქე ირლანდიის ნაკრები იქნება.

რაგბიში ჭიპმოჭრილი არ გახლავართ, მაგრამ ის კი ვიცი, ირლანდია სპორტის ამ სახეობაში რასაც წარმოადგენს. ჰოდა, დუბლინში ჩასვლამდე ვფიქრობდი, ჩვენებმა პირველი მატჩი რომ „ჩააგდონ" და რუმინელებთან სათამაშოდ დაზოგონ ძალა, კარგი იქნება-მეთქი. ჩვენი ნაკრების ფრანგ მწვრთნელს *კლოდ სორელს* პირველად სწორედ ეს ვკითხე — ვითამაშებთ თუ არა სრული ძალით მასპინძლებთან?

— ჩვენ 26 მოთამაშე გვყავს. ჩემი სტრატეგიული გეგმით, მათ ამ ორ მატჩზე ისე გავანაწილებთ, როგორც ვითარება ითხოვს. ისე არ გამიგოთ, თითქოს შედარებით სუსტებს ირლანდიასთან ვათამაშებ, ძლიერებს კი — რუმინელებთან, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენი გაზეთის ნებისმიერი მკითხველიც კი მიხვდება, მასპინძლებს რომ თავი შევაკლათ, მთლად გამართლებული ვერ იქნება.

— *ერთი სიტყვით, მთავარი თამაში ოთხშაბათსაა...*

— იცით, რას გეტყვით: ჩვენი მიზანი, უპირველესად, საქართველოში რაგბის განვითარება და წინსვლაა, თუმცა საამისოდ მსოფლიოს თასზე მოხვედრაზე უკეთესი არაფერი იქნება. დღესდღეობით ირლანდია მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ათეულშია, რუმინეთი კი ალბათ სადღაც მეთხუთმეტეა. ჩვენი ნაკრები, მე თუ მკითხავთ, მესამე ათეულის შუაშია, მაგრამ სპორტი იმიტომაა სპორტი და ჩვენც აქ იმიტომ ვართ, რომ რეიტინგული მონაცემები თავდაყირა დავაყენოთ, ანუ რუმინეთს მოვუგოთ და მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მოვიპოვოთ. იმასაც ვიტყვი, რომ რუმინეთთან გამარჯვება ის მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც საქართველოს ნაკრებს შეუძლია.

— *ბორჯღალოსნები ლამის თვეზე მეტ ხანს საფრანგეთში გყავდათ. კმაყოფილი ხართ მომზადებით?*

— ეს ძნელი ტურნე იყო, თუმცა ბიჭებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს და ბევრიც იმუშავეს. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ნაკრები მაქსიმალურადაა მომზადებული. ამას უპირველესად ქართული რაგბის ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ. მათ შესაძლებელზე მეტიც გააკეთეს, ამიტომ, ღმერთმა ნუ ჰქნას და, მარცხის შემთხვევაში ვერავის ვერაფერს დავაბრალებთ.

— *თქვენ თუ გითამაშიათ „ლენსდაუნ როუდზე"?*

— არა. ამ ზაფხულს მაროკოს ნაკრები მყავდა ირლანდიაში ჩამოყვანილი, მაგრამ მაშინაც არ მოგვიწია აქ თამაშმა. ისე, კარგია, ამ მართლაც გამორჩეულ სტადიონზე პირველად ირლანდიას რომ ვეთამაშებით — ჩვენს ბიჭებს საშუალება ექნებათ, შეეჩვიონ სარბიელს, პირველ მატჩში შემჩნეულ ხარვეზებს კი, იმედია, ოთხშაბათამდე აღმოვფხვრით.

...მალე კლოდ სორელი გუნდს შეუერთდა — ოთხ საათზე კრება ჰქონდა, ბორჯღალოსნების კაპიტანი უნდა დასახელებულიყო. მეც აღარ შევაწუხე ფრანგი მწვრთნელი და მასთან საუბრისას ფრანგულით ჩემს შემწე საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურ მდივანს *გია ჭუმბურიძეს* მოთამაშეთა ფიზიკურ მზადყოფნაზე ვკითხე.

— მადლობა ღმერთს, დაშავებული არავინაა. არადა, საფრანგეთში სხვებთან ერთად შვიდი სერიოზული მატჩი გავმართეთ — ოთხი მოვიგეთ, სამი წავაგეთ, თუმცა, ვიმეორებ, უბრალო ნაკაწრიც კი არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ და დღემდე უდანაკარგოდ მოვედით. ერთადერთს აქვსენტი გიორგაძეს აქვს კუნთები დაჭიმული, მაგრამ ირლანდიასთან ალბათ ერთ ტაიმს მაინც ითამაშებს.



კლოდ სორელი

ბოლოს ირლანდიელებიც აქო გენმდივანმა, მშვენიერი მასპინძლობა სცოდნიათ, ლამის ყველაფერი წინასწარ აქვთ გათვალისწინებულიო. მერე ყვავებზეც ვისაუბრეთ — გუშინ დამესიზმრაო. რა გასაკვირია, ამ მშვიდ, მშვენიერ, მართლაც იდილიურ გარემოს შიგადაშიც ყვავთა ისეთი ჩხავილი შესძრავს ხოლმე, შენ პირს შაქარიო, არ შესძახო, არ იქნება. ამაზე მუსიე კლოდსაც ვკითხე, ამათი ჩხავილი ცუდს ხომ არაფერს გვიქადის-მეთქი. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი არც ახლა დაბნეულა: ჯერ ერთი, აქ ჩვენამდე თვით ირლანდიის ნაკრები იყო შეკრებაზე და არც მათ დააკლდებოდათ „გალობა", თანაც, ახლა ხომ საქართველოში არა ვართ, ამ კუნძულზე კი, ბრიტანეთის დარად, ყვავებს სხვა „სტატუსი" აქვთ, ასე რომ, ნურაფრის გეშინიათო.



THE IRISH TIMES

ბორჯღალოსნები ვანო ნადირაძე და ზურაბ მჭედლიშვილი ვესტმანსტოუნზე ვარჯიშისას

## ვიზიტი პირველი: პრეზიდენტი და უფროსი

ორიოდ დღის წინ უეფას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და საერთაშორისო განყოფილების უფროსი დავით პეტრიაშვილი ესტუმრნენ. შვეიცარიაში ორივეს თავისი საქმე აქვს — პრეზიდენტი, შეპირებისამებრ, უეფას აღმოსავლეთ ევროპის განვითარებისა და დახმარების ბიუროში გაარკვევს კიდევ ერთხელ სამომავლო ურთიერთობას, თანაც უცხოელ პარტნიორებს შეხვდება. პეტრიაშვილი კი, რომელიც უეფას სამოყვარულო ფეხბურთის კომიტეტის წევრია, სხდომაზე დასასწრებად მიიწვიეს.

პრეზიდენტიცა და უფროსიც თბილისში შემდეგ კვირას დაბრუნდებიან. რა ამბავს ჩამოიტანს ჟორდანია, ამას მისი ჩამოსვლისთანავე გაცნობებთ.

ქობა ინასარიძე



ჟორდანია პრეზიდენტის რანგში პირველად ეწვია უეფას

## პიროსის გამარჯვება

98

ბერძენმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა პიროს დიმასმა ფინეთის ქალაქ ლახტიში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ 85 კილოგრამიან ათლეტთა შეჯიბრში 178 კგ აიტაცა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მერე აკვრაში 210 კგ დაიმორჩილა, როგორც ხჩვევია, მაყურებლებს ღიმილით გადახედა, ორჭიდში 387,5 კგ დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროც მოიპოვა.

მანამდე ფიცარნაგზე 69 და 75 კილოგრამიანი ქალები გავიდნენ. 69 კგ-ში კვლავ ჩინელმა, ტანგ ვეიფანგმა იმარჯვა, თანაც ატაცში მსოფლიოს რეკორდსმენიც გახდა (110,5 კგ).

75 კგ წონის ფინელი ქალი კაროლინა ლუნდალი კი ჩინელებს ოქროში შეეცილა და ორჭიდში 230 კგ-ით კვარცხლბეკზე პირველი ავიდა.



REUTERS

ბერძენი პიროს დიმასი კვლავაც უძლეველია

## მაიკლ გარკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამესამე

# დაუვიწყარი დასასრული — 2

**აკი მოგახსენეთ, ასეთი სულ თორმეტი ყოფილა. თორმეტი დაუვიწყარი დასასრული, კრივის ისტორიის ერთ-ერთ საყრდენს რომ ქმნის. ოთხი ამათგანი ორი კვირის წინანდელ „საკრივო ფურცელზე“ წარმოგიდგინეთ, მომდევნო ოთხის ჯერი კი ახლა მოსულა.**

### 1952 წლის 23 სექტემბერი
### როკი მარჩიანო — ჯერსი ჯო უოლკოტი

ეს ახლა არის, რომ ჩვენ როკი მარჩიანოს გამო ვლაპარაკობთ. ვიცით, რომ იყო მძიმე წონის სამი საუკეთესო მოკრივეს შორის ერთ-ერთი და ერთადერთი, ვინც ისე გამოეთხოვა რინგს, რომ არ დამა-



როკის მარჯვენა ჯერსი ჯო უოლკოტის ყბას ანგრევს

რცხებულა. ჩვენ ბევრი რამ ვიცით მის შესახებ, მაგრამ მაშინ, 40-იანი და 50-იანი წლების მიჯნაზე როკი აღიქმებოდა ერთ დაჯღვარკულ, მოკლეფეხება იტალიელად, რომელიც კრივში სანახევროდ განათლებულა, თუმცა დაუცხრომელი მებრძოლია და ამის ხარჯზე იმარჯვებს საშუალო ძალის მებრძოლებთან.

მაგრამ მარჩიანოს ბანაკში იცოდნენ, რომ როკიმ ბევრი რამ ისწავლა. ამიტომაც მის პირველ და ერთადერთ საპრედედენტო ბრძოლას იმედით შესცქეროდნენ.

როკი ჩემპიონობას ეცილებოდა ჯერსი ჯო უოლკოტს, ოცდაჩვიდმეტი წლის მოკრივეს, რომელსაც ბოლო წელიწადნახევარს მტკიცედ ეპყრა მძიმე წონის ქამარი.

უოლკოტისთვის ეს რიგით მეორე ტიტულის დაცვა იყო. ერთი წლით ადრე მან ერთდარტყმიანი ნოკაუტით დასცა პრეტენდენტი ეზარდ ჩარლზი.

ასეთივე დარტყმა მოუხერხა უოლკოტმა მარჩიანოს. ეს იყო ერთ-ერთ ადრეულ რაუნდში. ფილადელფიის მუნიციპალურ სტადიონზე თავშეყრილი ხალხი გაირინდა, ესაა და ბრძოლა დამთავრდაო, მაგრამ მარჩიანო სწრაფად წამოდგა. აქვე უნდა ითქვას, რომ როკის კარიერაში ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ის არათუ წაიქცა, არამედ ნოკდაუნში აღმოჩნდა.

მარჩიანო კი წამოდგა, მაგრამ მაყურებელს გული აუცრუა — „ბროკტონელი ყუმბარმტყორცნი“ (ასე ეძახდნენ როკის) ვერაფერს გააწყობს ჩემპიონის წინააღმდეგო.

უოლკოტი სახიფათო, დახვეწილი სტილის მოკრივე იყო. მას სანიმუშო სკოლა გაევლო და მარჩიანოსთან შედარებით დახვეწილი მანერა ჰქონდა.

მთელი ბრძოლის განმავლობაში უოლკოტი წინ იყო. მეთორმეტე რაუნდის შემდეგ ის აშკარად იგებდა. სამი მსაჯი რაუნდების მიხედვით მას ანიჭებდა უპირატესობას: 7-4-1, 8-4, 7-5. ასეთ შემთხვევაში, მარჩინოს რომ თავი მოეკლა და დარჩენილი სამი რაუნდი მოეგო, ფრეს მიაღწევდა. ეს ძალიან ძნელი საქმე გახლდათ. ერთადერთი, რაც მარჩიანოს შეეძლო, თავზეხელაღებული შეტევა იყო. და ამგვარი შეტევაც არ იძლეოდა წარმატების მყარ იმედს.

მარჩიანოს შტაბის ტაქტიკა სწორი იყო — როკის თავზე ხელი უნდა აეღო და თან ჭკუით ემოქმედა. მეცამეტე რაუნდი დაიწყო თუ არა, მარჩიანომ ახლოდან შეუტია უოლკოტს და თოკებთან მიიმწყვდია იგი. როკიმ იმგვარად დაიჭირა პოზიცია, რომ მარჯვენა ხელის ძალუმად მოქნევა შეძლებოდა.

და მოიქნია კიდეც. უოლკოტმა თავისი მარჯვენა შეაგება, მაგრამ მარჩიანომ წამის მეასედით დაასწრო. ეს იყო დარტყმა, ასე თვრამეტი ინჩის მანძილიდან. იგი პირდაპირ ქვედა ყბაში მოხვდა უოლკოტს.

ჩემპიონი მოწყვეტილი დაეცა ფიცარნაგზე. წამით ისე გამოჩნდა, რომ დარტყმული დიდი არაფერი იყო და უოლკოტს მუხლმა უმტყუნა. ამ შეხედულებას ისიც ამაგრებდა, რომ ჩემპიონი მალე წამოდგა. თუმცა, როგორც გამოჩნდა, ბრძოლა დამთავრებული იყო. როგორც კი ბრძოლა განახლდა, მარჩიანომ მოწყვეტილი ცაცია მოარტყა სახეში მოწინააღმდეგეს. ეს ცაცია გადამწყვეტი არ ყოფილა. საქმე პირველმა დარტყმამ მოათავა. შემდგომში კრივის მწვრთნელებმა დაწერეს, რომ ეს იყო უდიდესი სანოკაუტო „სინგლი“ მძიმე წონის ისტორიაში. ასე გახდა როკი მარჩიანო ჩემპიონი.

ასეთი იყო მისი დასაწყისი.

### 1974 წლის 30 ოქტომბერი
### მუჰამედ ალი — ჯორჯ ფორმენი

ალი არასოდეს ყოფილა დიდი მონოკაუტე კაცი. ცალი ხელის თითები ეყოფა მის მიერ მოხერხებული ერთ, ან ორ დარტყმიანი ნოკაუტების დათვლას. არადა, ის 21 წელიწადს იდგა რინგზე. ჩვენ კარგად ვიცით, ვინ იყო ალი. ის პირველი იყო, მაგრამ ნოკაუტები ქრესტომათიული არ ჰქონდა...

თუმცა, დიდი ნოკაუტის თვისებაც ეს არის, რომ მოულოდნელად დაიბადება ხოლმე. ზოგჯერ დგება წამი, როცა დიდ ნოკაუტს არ სჭირდება არც გამორჩეული ძალა და საგანგებო ოსტატობა.

ასე მოხდა მაშინაც, კინშასაში, ზაირის დედაქალაქში, გვიან ღამით: ალი შვიდრაუნდნახევრის განმავლობაში უძლებდა ჯორჯ ფორმენის შეტევებს. შემდეგ კი დაამტკიცა, რომ დიად მოკრივეებს ძალუძთ იმის კეთებაც, რაც სხვათა იარაღად უფრო ითვლება.

ჩვენს საკრივო ფურცლებზე ვრცლად იყო აღწერილი კინშასური ბრძოლა და მისი დაუვიწყარი დასასრული. თუმცა, ამ ჯერზე მაინც გავიხსენებთ.

ალის ტაქტიკა ამ დიდ შერკინებაში აიხსნება მისივე გამოთქმით: „სპილო ვერ დაეწევა ქურციკს“. მან თავისი დაცვითი ტაქტიკით, სისწრაფით და მოხერხებულობით დატანჯა ფორმენი. ფორმენი ბარე ოთხჯერ მეტს ურტყამდა, მაგრამ ალი უფრო ზუსტი იყო. მან მოქანცა სპილო.

ამ ბრძოლის ბოლო წამები კი ასეთი იყო:

ალიმ ორი ჯერი დაჰკრა ფორმენს და რბილი მარჯვენაც მიაყოლა. მერე თავისებურად წაიმასხარა



რეფერი ზაკ კლეიტონი კინშასურ ბრძოლას ამთავრებს — ალი შესცქერის წამხდარ ფორმენს

და მოწინააღმდეგეს კისერში წაუთაქა. ფორმენი დაბნეული ჩანდა. მან კიდევ ორი ძლიერი ჯები მიიღო დასიებულ ცხვირ-პირში. ეს ის ჯებები იყო, გახურებულ ალის რომ სჩვეოდა.

ფორმენმა საპასუხოდ მოიქნია, მაგრამ ეს მოქანცული კაცის დარტყმა იყო. ალი, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში თოკებთან ირჯებოდა, ახლა რინგის შუაგულში იდგა. ის მსუბუქი ცეკვით დაი-



უნოკაუტო დასასრულის მეფენი: ჰოლმსი ნორტონს უტევს

ძრა თოკებთან მდგომი ფორმენისკენ.

ალის შემდეგი დარტყმა უსწრაფესი ჯები იყო.

მრავალი წლის შემდეგ, ამ ჯებს თავად ალიმ თავის კარიერაში საუკეთესო დარტყმა უწოდა.

ჯები იმდენად სწრაფი იყო, რომ ფორმენის ნიკაპს მაშინ უწია, როცა დიდი ჯორჯი ხელებჩამოშვებული და წელგამართული იდგა. როცა ფორმენი წინ გადმოიხარა, ალიმ მარჯვენა მოამზადა, მაგრამ აღარ მოუქნევია. აღარც სჭირდებოდა. ფორმენი ორად მოკეცილი, ბარბაცით დაიძრა ალისკენ. წამში ის ოთხზე მბობლავ კაცად იქცა და რეფერი ზაკ კლეიტონმაც აღარ დაახანა.

დრო — მერვე რაუნდის 2 წუთი და 58 წამი... ერთი განუმეორებელი ჯები და ფორმენი აღარ არსებობდა.

### 1978 წლის 9 ივნისი
### ლარი ჰოლმსი — კენ ნორტონი

მძიმეწონოსნები იშვიათად არიან სანახაობის მიმდევარი ხალხი. კრივის მოყვარულთაგან ხშირად გაიგონებთ, თუ კრივში მხოლოდ სანახაობას დაეძებთ, მსუბუქწონოსანთა ორთაბრძოლებს უცქირეთ, იქ პირველი წამიდანვე განუზომლად მეტია რისკი, მუშტი, მოძრაობა და აზარტი.

მაგრამ როდესაც რინგზე ერთმანეთს შეხვდებიან ლარი ჰოლმსი და კენ ნორტონი, მაშინ მსუბუქ წონაზე აღარ იფიქრებ.

ორი დიდი კაცი, ორი საოცარი მოკრივე, ორი ათლეტი, ერთმანეთის პირისპირ დადგა. ნორტონი როგორც ჩემპიონი და ჰოლმსი, როგორც პრეტენდენტი.

ეს იყო ბრძოლა, რომლის თხუთმეტივე რაუნდი დასამახსოვრებელი, გზნებითა და ოსტატობით იყო სავსე.

მძიმე წონის ისტორიას არ ახსოვს ასეთი ღია და თავზეხელაღებული შერკინება. არ ახსოვს არც მებრძოლი წყვილის ასეთი საკრივო სილამაზე.

თავიდან ჰოლმსი უტევდა თავისი დელგმური ჯებებით. ის მხოლოდ ნორტონის სახეს ხედავდა და უმიზნებდა. ბრძოლის შუაწელზე უკვე ნორტონმა დაიჭირა უფრო ახალგაზრდა პრეტენდენტი და თავისი განთქმული მარჯვენა ჰუკი აამუშავა.

უკანასკნელი, მეთხუთმეტე რაუნდის წინ, აშკარა ფრე იყო და მსაჯებსაც ასე დაეთვალათ.

ორივე მოკრივემ მშვენივრად იცოდა, რომ დგებოდა გადამწყვეტი წუთი.

ნორტონმა პირველმა შეუტია — წყვილი ჰუკით თოკებთან მიაგდო ჰოლმსი. შემდეგ მან კორპუსში დასცხო მოკუნტულ პრეტენდენტს.

რაუნდის ნახევარი ისე გაილია, რომ ხალხი თანდათან იჯერებდა, ჩემპიონი მოიგებსო. ნორტონის აგრესია და ჯანი უფრო დღეგრძელი ჩანდა, მაგრამ ჰოლმსი უეცრად გამოფხიზლდა. მან ერთი აპერკოტი ამოსცხო ჩემპიონს და მარჯვენაც მოახმარა. ჯე...ბის მომზადებას ვერ ასწრებდა, მაგრამ მუშტები იმ...გვარად აამუშავა, რომ გვარიანად დაანჩა მოწინააღმდეგე.

ბრძოლის დასრულებამდე 30 წამით ადრე ჰო...ლმსმა მშვენიერი კომბინაცია გაუმართა ნორტონს და მაინც, ბრძოლის შედეგი გაურკვეველი და ბუ...დოვანი იყო.

რაუნდის ბოლო —20 წამს ისინი რინგის შუაში იდგნენ და ღიად, გაალმასებით აყრიდნენ მუშტებს ერთმანეთს. გონგის ხმა არ გაუგონიათ, რეფერი შუ...აში ჩადგა.

დიახ, ნოკაუტი არ ყოფილა, მაგრამ ამგვარი და...სასრულიც ბევრი არ ყოფილა — დიადი დასასრუ...ლი ნოკაუტის გარეშე. მსაჯთა თათბირით გამარჯ...ვებული ჰოლმსი გამოდგა. მან ჩემპიონის ქამარი შე...მოირტყა.

### 1980 წლის 31 მარტი
### მაიკ ვივერი — ჯონ ტეიტი

ის ასე ახლოს იყო. ას... ახლოს იყო იმასთან, რო... პატივცემული ყოფილიყ...

ვინაიდან, კაცმა ერთხე... მაინც უნდა შეძლოს ტი...ტულის დაცვა.

მას შემდეგ, რაც ლეგე...დარულმა კუბელმა მოყვ...არულმა თეოფილო სტივე...ნსონმა ერთდარტყმიანი ნო...კაუტით დასცა ჯონ ტეი...ტი მონრეალის ოლიმპიუ...რ რინგზე, „დიდ ჯონად“ წო...დებულ მძიმეწონოსანს არა...ვინ თვლიდა ნაღდ მოკ...რივედ.

ჯონ ტეიტი გოლიათუ...რი აღნაგობის, ქონმოძ...ლებული მოკრივე იყო. დი...დი ბრძოლების შორიახლოსაც არავინ უშვებდ... მაგრამ ცალკერძ მონდომებითა და ცალკერძ იმ დრო... საკრივო ვერსიათა ომის გამოისობით, მარაქაში გაერია. პროფესიულ რინგზე წაგება არ ჰქონდ... მოულოდნელად კი ასოციაციის (ფბა) ვაკანტურ ტიტულისკენ გაიკაფა გზა მავან კალე კნუტცესა დ... გერი კოეტცის დამარცხებით.

ტიტულის პირველივე დაცვა მისთვის იმედისმო...ცემი იყო. ტენესის შტატში, მშობლიურ ქალაქ ნო...სვილის „სტოკლის“ დარბაზში უნდა შეხვედროდ... მაიკ ვივერს.

რა თქმა უნდა, ვივერი არ იყო ჯო ლუისი. რა... ჯო ლუისი? თავის დროზე ის გაელახა არა „პატარა თეთრ იმედს“, დუეინ ბობიკს არამედ მის დონდლ... ძმას, როდნისაც. ვივერი იმით იყო ცნობილი, რო... ერთი წლის წინათ ლარი ჰოლმსიც კი გამოეწვ... ეს სასაცილო იყო.

თოთხმეტნახევარი რაუნდის განმავლობაში ტეიტ... თავის ნებაზე აბურთავებდა ვივერს. აკადემიურა... ღირსეულად და ლამაზად კრივობდა. ღონიერი ჰუ... მხოლოდ მეთორმეტე რაუნდში მოხვდა და ისე მი...



ჯონ ტეიტი ტირის, მაიკ ვივერი ფეხებაპლაკული ზეიმობს

ლო, ვითომ არაფერიო.

ბრძოლის დასრულებამდე სამი წუთი, ანუ ერ... რაუნდი რჩებოდა. რა ევალებოდა ტეიტს? მხოლო... და მხოლოდ საქმის მომთავრება მშვიდად და უდ...ტვინველად.

რაუნდის დასრულებამდე 45 წამი რჩებოდა, რო... ტეიტი და ვივერი რინგის კუთხეში შეებნენ ერთმა...ნეთს. ვივერის ცაცია ჰუკი ყბაში მოხვდა ჩემპიონ... „დიდი ჯონი“ თითქოს გაიყინაო და ერთადერ... კაცი, ვინც მიხვდა, რომ ნოკაუტი შედგა, რეფერ... ერნესტო მაგანა იყო. ტეიტი ფეხზე იდგა და ნოკა...ტში იყო. ორიოდ წამში ის ნელა ჩაიკეცა და ფიც...რნაგზე გაიშხლართა.

მეთოთხმეტე რაუნდის შემდეგ სამივე მსაჯის დ...თვლით ტეიტი აშკარად იგებდა: 137-134, 136-133, 13... 133. ორმოცდახუთი წამი პატივისცემამდე.

ის სულ ახლოს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გრემს ნეკროლოგები მხერხება



მარსელო რიოსი

სანტიაგო. ჩილე. შევროლეტის თასი. ტარდება თიხნარზე საპრიზო 345 ათასი $

პიტ სამპრასის სტოკჰოლმის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხებამ მარსელო რიოსს ორშაბათიდან კლასიფიკაციის პირველ ადგილზე მოკალათების შანსი გაუჩინა. ამისთვის კეკინიანმა სამხრეთამერიკელმა მშობლიურ სანტიაგოში „შევროლეტის თასი" უნდა მოიგოს.

შინ, ჩილეში, რიოსი ეროვნულ გმირადაა შერაცხული და პოპულარობით ქვეყნის პრეზიდენტსაც არ ჩამოუვარდება, მაგრამ, თანამემამულეთა სამწუხაროდ, სანტიაგოში სტუმრობას წელიწადში რამდენიმე კვირით თუ ახერხებს. სწორედ ამიტომაა, მარსელო ატლანტიკის გადასერვას, საფარების მეტად უხერხულ ცვლასა და სეზონის ბოლოსთვის დაგროვილ დაღლილობას რომ არად აგდებს და ქვეყნის უდიდეს, ოთხათასიან კორტის ტრიბუნებს წლიდან წლამდე პირთამდე ავსებს ქომაგებით.

პირველ წრეში ბრაზილიელ მარსიო კარლსონთან დიდი ვაი-ვაგლახით გამარჯვების შემდეგ მერვედფინალში რიოსმა თანამემამულეები აღარ აწვალა და არგენტინელ მარტინ როდრიგესს ბოლო ზუსტად ერთ საათში მოუღო 6:2, 6:2. კლასიფიკაციაში შექმნილი დაძაბული ვითარება ჩემზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს. რაიმე ზეწოლას რომ ვგრძნობდე, კარგად ვერც ვითამაშებდი. თანაც წინ ძნელი მატჩები მელის" — განუცხადა ჟურნალისტებს ჩილელმა, რომელმაც თავის ახალ მწვრთნელ ლუის ლობოსთან ერთად მეოთხედფინალში წყვილებს შორისაც გააღწია.

რიოსის ამოცანა ამავე დღეს ტურნირის ორი ფავორიტის — ბრაზილიელი გუსტავო კურტენისა (4), და ესპანელი ალბერტო ბერასატეგის (3) გავარდნამ კიდევ უფრო გააიოლა. როლან გაროსის 1997 წლის ჩემპიონმა ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისთან წააგო 6:7 (3:7), 3:6, ამ ბოლო ხანებში წარუმატებლად მოასპარეზე ბერასატეგიმ კი მაროკოელ იუნეს ელ აინაუისთან 6:7 (1:7), 1:6.

მერვედფინალებმა თავიდან კინაღამ პოლიტიკური შეფერილობა მიიღო: კორტის შესასვლელთან ჩილეს ყოფილი დიქტატორის, გენერალ ავგუსტო პინოჩეტის მომხრეთა ჯგუფმა მოიყარა თავი და ამ უკანასკნელის ლონდონში დაპატიმრებისადმი პროტესტის გამოსათქმელად რაღაც მიტინგის მაგვარი მოაწყვეს. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, პრობლემების მოგვარებას დემონსტრანტებისთვის ხელ-ფეხის დამტვრევა ან ჟურნალისტების დასისხლიანება არ დასჭირვებია. პოლიციის დაჟინებული თხოვნის შემდეგ, პინოჩეტელებმა მშვიდობიანად დათმეს დაკავებული პოზიციები.

**მერვედფინალი: ფელიქს მანტია (2, ესპანეთი) — ედუარდო მედიკა (არგენტინა) 6:0, 6:1; ფრანსისკო კლავეტი (5, ესპანეთი) — ხულიან ალონსო (ესპანეთი) 6:1, 7:6 (11:9); მარიანო პუერტა (6, არგენტინა) — ლუკას არნოლდი (არგენტინა) 6:3, 7:5; ჯიმ კურიე (აშშ) — დომინიკ პრბატი (7, სლოვაკეთი) — 7:6 (7:5), 6:4.**

სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 825 ათასი $

ყველაფერი იმისკენ მიდის, ევგენი კაფელნიკოვს ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მშობლიური „კრემლის თასის" მოგებაც არ ეყოფა. რუსის ცოდვას კი როგორც ჩანს, ინგლისელები — ტიმ ჰენმანი და გრეგ რუზედსკი დაიდებენ.

ჰენმანს ჰანოვერის საგზურის მოსაპოვებლად სტოკჰოლმში ნახევარფინალში გასვლაც ეყოფა, რაც, გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლებელი მისია სულაც არ ჩანს — მეოთხედფინალში ინგლისელის მეტოქე მასპინძელი მაგნუს გუსტაფსონი იქნება, რომელიც მას ოთხივე პირადი შეხვედრაში დაუმარცხებია.

სამაგიეროდ, მერვედფინალში ჰენმანს (3) საკმაოდ გაუჭირდა — ფავორიტებზე დაგეშილმა უეინ ფერერამ მეტოქე მატჩის დასაწყისში დაჩაგრა, მაგრამ ჯერ 5:4-ზე მერე კი 6:5-ზე საკუთარი მოწოდება ვერ შეინარჩუნა. პირველი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. სამხრეთაფრიკელმა აქ თავი ვერაფრით გამოიჩინა, გამოუყენებელი შანსებით განერვიულებულმა კი მერე ხეირიანი წინააღმდეგობა ველარ გასწია 6:7 (3:7), 3:6.

რაც შეეხება რუზედსკის, მსოფლიოს ჩემპიონატზე ადგილის გასანაღდებლად მას ჰენმანზე ერთი ნაბიჯით წინ, ფინალში გასვლა სჭირდება. თუმცა შესანიშნავ ფორმაში მყოფი ინგლისელის შემჩერებელი შვედეთის დედაქალაქში ჯერჯერობით არავინ ჩანს. მერვედფინალში მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონმა პირველ წრეში დამარცხებულ ტომი ჰაასს ანალოგიური ანგარიშით — 6:1, 6:4 ამერიკელი ვინს სპედეა მიაყოლა უკან, მერე კი განადგურებული მეტოქე ქებით ცაში აიყვანა: „მან მეორე სეტში უმაღლესი კლასის ჩოგბურთი უჩვენა... იგი ძალიან საშიში ჩოგბურთელია... ვინსი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ამერიკელია... კორტზე მას ბევრი რამის გაკეთება ეხერხება..."

**მერვედფინალი: დანიელ ნესტორი (კანადა) — სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:3; ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — ჯეფ გრანტი 6:0, 6:1; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — იონას ბიორკმანი (5, შვედეთი) 6:0, 4:6, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 6:3.**

ფილადელფია. აშშ. ადვანტას ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $

კაცებისგან განსხვავებით, ქალების მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეები კი არა, უკვე პირველი წრის წყვილებია გარკვეული. ბევრ რამეს ნათელი ჯერ კიდევ ადვანტას ჩემპიონატის მერვედფინალების ჩასრულებამდე მოეფინა.

სწორედ ხუთშაბათს გახდა ცნობილი, რომ ვინუს უილიამსი „მედისონ სკვერ გარდენში" არ იასპარეზებს — 18 წლის ამერიკელმა ქრონიკული მუხლის ტრავმის მორჩენა ვერ მოასწრო. უილიამსის უარმა ჩემპიონატზე დარჩენილ ორ ვაკანტურ ადგილს პატრონები მაშინვე გამოუძებნა — შტეფი გრაფი და ირინა სპირლეა.

„ათი დღის წინ ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთი შესაძლებლობა მომეცემოდა, ყველაფერი ელვისებური სისწრაფით განვითარდა. მეგონა, არდადეგები მექნებოდა, მაგრამ იქ თამაშს რა სჯობს" — განაცხადა შტეფი გრაფმა, რომელსაც ათი დღის წინ დიდი ჩოგბურთი მაჯის ოპერაციის გამო ორი თვის მანძილზე არ ეთამაშა, თუმცა მობრუნებისთანავე ლაიფციგის ტურნირი მოიგო.

ფილადელფიაში კი შტეფი უკვე მეოთხედფინალშია. მეორე წრეში რუსმა ელენა ლიხოვცევამ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ორი საათის განმავლობაში არაფერი დაუთმო, მაგრამ გერმანელმა მაინც იმარჯვა 6:7 (5:7), 6:2, 6:4.

მეოთხედფინალში შტეფის ტახტზე მისი შემცვლელი, თუმც ახლა თავადაც ყოფილი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი ელის, რომელმაც მასპინძელ ბრი რიპნერს მოუგო 6:4, 6:1.

**მეორე წრე: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — კიმბერლი პო (აშშ) 6:1, 6:2; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) 6:4, 6:4; ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (4, ესპანეთი) 6:4, 6:1; მონიკა სელეში (5, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 7:5; ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 7:6 (7:4).**

**ავთანდილ სვანიძე**



# დაარტყა, გაიტანა, დაარტყა, გაიტანა

12 ნოემბერი

**ჩიკაგო — ტორონტო 3:10**

**0:2 1:2 2:6**

**0:1 დ. კინგი 7'35 (5); 0:2 სუნდინი 14'29 (6); 0:3 სუნდინი 24'44 (7); 0:4 სუნდინი 27'49 (8); 1:4 კლიერი 37'59 (2); 1:5 ტომასი 40'58 (6); 1:6 მოდინი 43'01 (3); 2:6 ამონტე 47'06 (10); 2:7 ველკი 48'20 (2); 2:8 დ. კინგი 51'45 (6); 2:9 კოტი 53'28 (2); 3:9 უაიტი 54'58 (1); 3:10 ჯონსონი 58'15 (6).**

„ეს ისეთი მატჩი იყო, როდესაც ყველაფერი გამოგდის და თითქმის ყოველი დარტყმის შემდეგ გოლი გაგაქვს" — განაცხადა მატჩის გმირმა მათს სუნდინმა (3+1), რომელმაც კარიერაში მე-6 ჰეთ-თრიქი მიითვალა და მასპინძელთა განადგურებას სათავე დაუდო. მართლაც, ტორონტოელები შეუდარებელნი იყვნენ, განსაკუთრებით შვედი ფორვარდი, რომელმაც მასპინძელთა მეკარე ჯეფ ჰეკეტს თავგზა აუბნია და ისეთი მახვილი კუთხეებიდან გაუტანა, საიდანაც სხვა თავდამსხმელები არც კი უტევენ. სტუმართა კაპიტანს პარტნიორებიც — დერეკ კინგი (2+1), კოტი (1+1) და თვით ტაი დომიც დაეხმარნენ. რაც შეეხებათ ჩიკაგოელებს, მათ მწვრთნელს დირკ გრეჰემს ბოლო 8 მატჩში 7 წაგების შემდეგ ან გუნდიდან წასვლა მოუწევს, ან, თუ ამონტეს არ ჩავთვლით, მთელი შემადგენლობის გაცვლა.

**აილენდერსი — მონრეალი 4:0**

**1:0 2:0 1:0**

**1:0 რიხტერი 18'35 (1); 2:0 ჩერკავსკი 24'53 (1); 3:0 ჩერკავსკი 8'56 (2); 4:0 რაიხელი 40'13 (4).**

აილენდერსის შვედი მეკარე ტომი სალო 4 შათაუტით სეზონის ლიდერი გახდა. მას სხვა ნიუიორკელმა ევროპელებმა — პოლონელმა მარიუშ ჩერკავსკიმ და ჩეხმა რობერტ რაიხელმაც მიბაძეს, ხოლო ბოსტონიდან შემატებული ტედ დონატო (1 პასი) ახალ კლუბში ზედიზედ მეორე მატჩში გამოირჩა.

**ვაშინგტონი — ბუფალო 0:2**

**0:1 0:1 0:0**

**0:1 უორდი 2'33 (4); 0:2 შატანი 23'178 (3).**

ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ვაშინგტონელ „გოძილას", ოლაფ კოლციგს ძალიან უნდოდა, თავი გამოეჩინა, მაგრამ დედაქალაქელთა მიერ პლეი ოფში განაწყენებულ დომინიკ ჰაშეკს (23 მოგერიება და 36-ე შათაუტი), ეტყობა, ძველი ჯავრი არ ასვენებდა. ბუფალოს, ისევე, როგორც ფინიქსს, 7 თამაშია, არ წაუგია.

**ფილადელფია — ფლორიდა 1:2**

**0:0 0:2 1:0**

**0:1 პერიში 22'07 (7); 0:2 პერიში 38'46 (8); 1:2 სვობოდა 41'25 (1)**

მარკ პერიში, ვფიქრობ, არ დაგავიწყდებოდათ. ჰოდა, სეზონში ერთადერთი პოკერის შემსრულებელმა ფლორიდის დებიუტანტმა მორიგი ორი შაიბა შეაგდო და „მფრინავებს" წაგებათა სერია შვიდამდე გაუზარდა. ამით პერიშმა ძალიან გაახარა თავისი მწვრთნელი ტერი მიურეი, რომელიც 1997 წლის შემდეგ, როცა იგი „მფრინავთა" თავკაცობიდან დაითხოვეს, პირველად ესტუმრა ფილადელფიას.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ლამის სამჯერ მეტი (40:15) დარტყმა განახორციელეს.

**ოტავა — ედმონტონი 1:1**

**0:0 0:0 1:1 0:0**

**1:0 იუჰანსონი 53'26 (7); 1:1 კოვალენკო 59'46 (6)**

**კალგარი — ვანკუვერი 3:4**

**2:0 0:4 1:0**

**1:0 შანტცი 2'26 (3); 2:0 შანტცი 13'54 (4); 2:1 მესიე 21'01 (8); 2:2 მაკეიბი 22'40 (1); 2:3 ოკუანი 25'07 (6); 2:4 ოლუნდი 25'59 (2); 3:4 სტილმანი 57'06 (5)**

ვანკუვერმა სამი პერიოდის განმავლობაში სულ რაღაც ექვსი წუთი ითამაშა ნორმალურად, მაგრამ გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. სტუმართა ოთხი გოლიდან სამი მცველებმა გაიტანეს, აქედან ერთი — გაფიცვის შემდეგ პირველად მოთამაშე ბრაიან მაკეიბმა.

**სან ხოსე — კაროლინა 3:0**

**1:0 1:0 1:0**

**1:0 რიჩი 12'11 (3); 2:0 ფრიზენი 37'00 (4); 3:0 ფრიზენი 48'02 (5)**

კალიფორნიელთა მწვრთნელმა დერილ სატერმა სანამ თავისი ზოგიერთი შეგირდი საქვეყნოდ არ გააკრიტიკა, მათ არა და არ მოინდომეს. ერთ-ერთმა მათგანმა, მაიკ რიჩიმ (1+1) გოლი საოცარ აკრობატულ ნახტომში გაიტანა — კარის უკნიდან დასარტყმელ პოზიციაში გამოსული ფორვარდი მცველებმა წააქციეს, მაგრამ მან, ზურგზე დაწოლილმა, მაინც მოახერხა და შაიბა ბადეში გაახეია. ფლორიდაში შეძენილმა მცველმა ჯეფ ნორტონმა სან ხოსეში მეორედ დაბრუნება პასით აღნიშნა. სამაგიეროდ, ოქტომბრის გმირს, კაროლინელ არტურ ირბეს, რომელიც, ისევე როგორც ნორტონი, 1993-95 წლებში იცავდა „ზვიგენების" ღირსებას, ყოფილმა პარტნიორებმა აწყენინეს.

**ლოს ანჯელესი — ნეშვილი 1:3**

**1:0 0:1 0:2**

**1:0 ციპლაკოვი 2'02 (5); 1:1 პელტონენი 31'53 (1); 1:2 კრივოკრასოვი 41'54 (9); 1:3 ტერკოტი 52'05 (2)**

თითქოს დაებედაო, ნეშვილი ამჯერადაც სწორედ მათ ასახელეს, რომელნიც სხვა კლუბებში ღირსეულად ვერ დაფასდნენ. ჩიკაგოში თამაშისას სერგეი კრივოკრასოვისთვის (1+1) ამდენი გოლის გატანა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ხოლო ვილე პელტონენი (1+1) სან ხოსემ შვედეთშიც კი გაუშვა.

მასპინძლებს უმცირესობაში გატანილმა სეზონში მეექვსე გოლმაც ვერ უშველა.



REUTERS

18 წლის კალგარელ რიკო ფატას ვანკუვერელთა კართან მცველი ბრაიან მაკეიბი დაუხვდა

## სატურნირო ვითარება

| წყნარი ოკეანე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 11 | 7 | 2 | 2 | 30:16 | 16 |
| დალასი | 12 | 7 | 2 | 3 | 29:25 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 16 | 5 | 3 | 8 | 35:41 | 13 |
| ანაჰაიმი | 13 | 4 | 4 | 5 | 31:31 | 12 |
| სან ხოსე | 14 | 3 | 4 | 7 | 33:35 | 10 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 13 | 8 | 0 | 5 | 28:26 | 16 |
| აილენდერსი | 16 | 8 | 0 | 8 | 40:38 | 16 |
| პიტსბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 35:34 | 16 |
| ფილადელფია | 15 | 5 | 4 | 6 | 35:35 | 14 |
| რეინჯერსი | 15 | 4 | 4 | 7 | 35:42 | 12 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 16 | 8 | 2 | 6 | 54:49 | 18 |
| ბუფალო | 13 | 6 | 4 | 3 | 34:25 | 16 |
| ბოსტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 36:26 | 15 |
| ოტავა | 13 | 6 | 2 | 5 | 40:37 | 14 |
| მონრეალი | 15 | 6 | 2 | 7 | 34:40 | 14 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 15 | 8 | 1 | 6 | 49:38 | 17 |
| ვანკუვერი | 14 | 7 | 1 | 6 | 44:37 | 15 |
| კალგარი | 15 | 6 | 2 | 7 | 42:44 | 14 |
| კოლორადო | 14 | 4 | 2 | 8 | 33:45 | 10 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 14 | 6 | 3 | 5 | 33:37 | 15 |
| კაროლინა | 16 | 6 | 3 | 7 | 38:37 | 15 |
| ტამპა | 15 | 6 | 2 | 7 | 38:49 | 14 |
| ვაშინგტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 28:37 | 11 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 14 | 8 | 0 | 6 | 43:32 | 16 |
| სენტ ლუისი | 14 | 6 | 4 | 4 | 37:34 | 16 |
| ნეშვილი | 14 | 6 | 1 | 7 | 37:40 | 13 |
| ჩიკაგო | 15 | 4 | 2 | 9 | 33:54 | 10 |

* * *

ბუფალოს ფორვარდი დონალდ ოდეტი და კლუბის მესვეურები შეიდთვიანი უბრობის შემდეგ, როგორც იქნა, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. გუნდის ხელმძღვანელთა ჯიუტობით განაწყენებულმა და საბოლოოდ ხელჩაქნეულმა ოდეტმა ტრეიდი მოითხოვა. საინტერესოა, რომ მხარეები კონტრაქტის ვადაზე (3 წელი), თანხაზე (5,7 მილიონი დოლარი) და ამ ფულის ყოველწლიურ განაწილებაზეც (შესაბამისად, 1,2; 2 და 2,5 მილიონი) შეთანხმდნენ, მაგრამ ჰოკეისტი იმ ფაქტმა განაცვიფრა, რომ კლუბი ყოველი სეზონის შემდეგ ხელშეკრულების დარღვევის უფლებას იტოვებდა. „ისინი აშკარად მატყუებდნენ და ამით ჩვენს დაბნევას ცდილობდნენ" — განაცხადა ოდეტის აგენტმა ჟილ ლუპიენმა.

* * *

ამ დღეებში კიდევ ორმა გაფიცულმა ჰოკეისტმა მიაღწია თავის კლუბთან შეთანხმებას. ვანკუვერი 23 წლის ბრაიან მაკეიბის შემატებით და მატიას ოლუნდთან მისი დუეტის აღდგენით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. რაც შეეხება მეორე მეამბოხე მოთამაშეს, იგი რეი ბურკის მუდმივი პარტნიორი კაილ მაკლარენია, რომელიც ბოსტონმა სამი წლით დაიტოვა.

# ირლანდია არხეინობს




ირლანდიელთა კაპიტანყოფილი კეიტ ვუდი ჩვენ აგვცდა, რუმინელებთან კი შესაძლოა ითამაშოს

ირლანდიურ მასმედიას ქართველების სტუმრობაზე ჩვენთვის მაინცდამაინც გასახარი არაფერი უთქვამს. იქ ყველა დარწმუნებულია, რომ ქართველები კლასით მათ ნაკრებს ბევრად ჩამოუვარდებიან და დღევანდელი მატჩიც ჩვენთვის მეტად სავალალოდ დასრულდება.

„აირიშ ნიუსი“ წერს: „ქართველების ნაკლებად ცნობილი ნაკრები დუბლინში ოთხშაბათს, საფრანგეთსა და ესპანეთში გამართული 8 შეხვედრის შემდეგ ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეტოქეები საკმაოდ დაბალი კლასისა იყვნენ, ქართველები ოთხი მოგებითა და ოთხი მარცხით კმაყოფილები არიან.

როგორც გუნდის ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მათ იციან, რომ ირლანდიასთან არანაირი შანსი არა აქვთ და მხოლოდ რუმინეთის დამარცხებას იმედოვნებენ მომავალ ოთხშაბათს.

უთანაბრო ბრძოლას მაყურებელთა დიდი ინტერესიც არ გამოუწვევია. კარგი იქნება, თუ „ლენსდაუნ როუდზე“ 10-12 ათასი კაცი შეიკრიბება.“

ამავე გაზეთში დღევანდელ შეხვედრაზე გაცილებით მეტი ადგილი ირლანდიის ყოფილი კაპიტნის კეიტ ვუდის არყოფნას ეთმობა. ვუდს რაგბის კავშირთან კონტრაქტის გამო უთანხმოება მოსვლია და ჩვენთან ვერ ითამაშებს, თუმცა რუმინელებთან შეხვედრისთვის შეიძლება ნაკრებში დააბრუნონ. მორაგბე პირობებით ისევ უკმაყოფილო დარჩენილა, თუმცა პატრიოტული მოსაზრებათა გამო დაუთმია.

სავსებით შესაძლებელია, ქართველებს ვერც ვუდის შემცვლელი როს ნესდეილი დაუხვდეს. მას ბოლო დღეებში ტრავმის გამო რამდენიმე ვარჯიში გაუცდენია.

„აირიშ ტაიმსში“ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძესთან მცირე ინტერვიუა დაბეჭდილი, სადაც ძირითადად ნაკრების სხვადასხვა პრობლემებსა და რაგბის პერსპექტივაზეა საუბარი. აქ ჩვენ „რომანტიკულ თამაშსა და მებრძოლ ხასიათს“ გვიქებენ, თუმცა დასძენენ, ქართველები მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, დიდი ანგარიშით არ წააგონ, მსოფლიოს თასის შესარჩევი მინი-ფინალად კი რუმინელებთან შეხვედრას მიიჩნევენო.

ირლანდიელებს ერთადერთი ახალწვეული ეყოლებათ — 26 წლის პეტ დიგნანი, რომელიც კანადაშია დაბადებული. „სამყურების“ მწვრთნელ უორენ გეტლანდს კი მოსალოდნელად ცუდი ამინდი უფრო აფიქრებს, ვიდრე მეტოქეზე ინფორმაციის ნაკლებობა. „ქართველების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი — მათ მძლავრი ფორვარდები ჰყავთ და რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს ევროპაში. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არც მინდა მაინცდამაინც ბევრი გავიგო. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ საკუთარ თამაშზე გავამახვილებთ და არ მსურს, კარგად მომზადებაში რაიმემ შეგვიშალოს ხელი. შევეცდებით, დამაჯერებლად გავიმარჯვოთ, თუმცა მაინცდამაინც დიდი ანგარიშისთვის თავს არ გამოვიდებთ. კარგი იქნება, თუ ცუდი ამინდი ხელს არ შეგვიშლის.“

ირლანდიელებს არც მათი მეორე მეტოქის, რუმინეთის გასაჭირი გამოპარვიათ. მათ საფრანგეთში მოასპარეზე ნაკრების წევრები დააკლდებათ, რაკილა კლუბებს მათი სამი კვირით გაშვებაზე უარი უთქვამთ. რუმინელებს არ ეყოლებათ „ნარბონში“ მოთამაშე კაპიტანი ტიბერიუ ბრინზა, ასევე ნარბონელი გაბრიელ ვლადი, ლიონის ოლიმპიკელი მარაკ რადოი და ბევრი სხვაც. დანარჩენები კი ესენი იქნებიან: სტანი (20 მატჩი ნაკრებში, კაპიტანი), მოკანუ (3), მარიოარა (2), ნიკულაე (9), ბალანი (4), მაეროდინი (2), დრაგომირი (4), დოჟა , სლუსარიუკი (21), დრაგუჩიანუ (23), მანტა (2), გირბუ (2), კოროდიანუ (4), სეპტარი (6), დრაგნია (3), მიტუ (8), ვუშეკი, ჩოლაჩუ (1), გონტინიაკი (18), ბრეზოიანუ (5), ლუპუ (1), სოლომიე (28), ფუჯიჯი (6), ვირიანუ (4), მაფტეი (6).

თასის შესარჩევი სამივე მატჩი ირლანდიის ტელევიზიით გადაიცემა, ბილეთის ფასი კი 25 გირვანქა იქნება.

დასასრულ კი დღევანდელი მატჩის მონაწილე გუნდების სავარაუდო შემადგენლობებს გაგაცნობთ, რომელიც გუშინ გაავრცელა სააგენტო „როიტერმა“.

**ირლანდია:** ოში, ბიშოპი, დიგნანი, ბელი, მეგსი, ელვუდი, მაკგინესი, კოსტელო, უორდი, მილერი, ოკელი, ჯონსი (კაპიტანი), ულესი, ნეხდეილი, ქლოუპესი

**საქართველო:** აბაშიძე, ბუგიანიშვილი, გ. ძაგნიძე, კაცაძე, ქავთარაშვილი, ტეფნაძე, ჯანელიძე, ვ. კობახიძე, ლაბაძე, ა. კობახიძე, ნადირაძე, ზედგენიძე, შველიძე, ჯაველიძე, ჩიქავა

**პაატა თოთაძე**

# ტრადიციას არ ღალატობენ

დღევანდელ შეჭირვებულ ყოფაშიც კი არ ღალატობენ ტრადიციას ქართული რაგბის ვეტერანები, „ბებერი ხარები“ ერთმანეთის მოსანახულებლად იცლიან და ბურთაობენ კიდეც. ამ გაზაფხულს დედაქალაქელმა ვეტერანებმა ქუთაისელებს რომ უმასპინძლეს, საპასუხო შეხვედრა მაშინ დაითქვა. და აი, ეს შეხვედრაც შედგა, ოღონდ წინანდელისგან განსხვავებით თამაში ქუთაისსა და თბილისს შორის კი არ გამართულა, ვეტერანები ერთმანეთში „აირივნენ“, ორ გუნდად „წითლებად“ და „ჭრელებად“ გაიყვნენ და ისე გავიდნენ სათამაშოდ. კვლავაც ვიხილეთ მინდორზე გივი მრელაშვილი, შაკო ქურციკიძე, თემურ არჩაია, გოგი ყუფარაძე, ავთანდილ ჩოგოვაძე, ირაკლი კიზირია, დავით თაქთაქიშვილი, ნოდარ კაჭარავა, რობერტ ობოლაძე, ბესარიონ ლილუაშვილი, ზაზა გოგავა, ბათლომე ხამაშურიძე და სხვები. თამაში დამატებით დროში „წითლების“ გამარჯვებით დასრულდა. თუმც წაგებული ამ დღეს არავინ დარჩენილა. ვეტერანებმა ახალგაზრდობა გაიხსენეს და მაყურებელსაც ასიამოვნეს. ქუთაისელ და თბილისელ ვეტერანთა განცხადებით, მათი შეხვედრა ასევე ყოფილი მორაგბის პაატა კოლუაშვილის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

საქართველოს ჩემპიონატი

# ზოგი წასვლას არ იზარებს, ზოგი შინაც იკარგება

**დათვები — ასკ 30:8**

**დათვები:** 6 ლ — ხონელიძე 2, გოგისვანიძე 2, ფხაკაძე, ჩუბინიძე
**ასკ:** 1 ლ — ბერიშვილი; 1 ს — კიკნაძე

გუშინ მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში ექვსეულის ბოლო ტურის ორი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ მხოლოდ ერთი გაიმართა — ბათუმში „დათვებმა“ არმიელები 30:8 დაამარცხეს.

ბოლო ტურის შეხვედრებს სატურნირო ცხრილში ცვლილებების მოხდენა აღარ შეეძლო. ამიტომაც, ჩვენი მორაგბეების არეული ჩემპიონატის შემყურეთ არმიელთა საქციელი სამაგალითოდ გვესახება. კი ვიცოდით, რომ წავაგებდით, მაგრამ რაგბის ვეცით პატივი და ბათუმში ამიტომ ჩამოვედით. გვსურდა, აქაურებისთვის ერთი კარგი თამაში გვეჩუქებინა — გვითხრა თბილისელ არმიელთა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ, გუშინ ბათუმში რომ შევხვდით თამაშის მერე.

ბათუმელებმა მეორე შემადგენლობით დაიწყეს. არმიელებმა მთელი შეხვედრა მათთვის ჩვეულად — ჟინიანად და მონდომებით ითამაშეს. ერთი თავგამოდება მალევე დაუფასდათ — ბერიშვილმა შეხვედრის დასაწყისში ლელო გაიტანა. თავმოყვარე ბათუმელებმა წაგება ამ არაფრისმომცემ მატჩშიც კი ითაკილეს და მოედანზე თანდათან საუკეთესონი გავიდნენ. ძალთა თანაფარდობის ცვლა უმალ ანგარიშშიც აისახა და ხონელიძემ და გოგისვანიძემ ორ-ორი, ფხაკაძემ და ჩუბინიძემ კი თითო ლელო გაიტანეს. ამას არმიელმა კიკნაძემ ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხა. საბოლოოდ 30:8.

ტურის მეორე და ცენტრალური მატჩი ვაკეში უნდა გამართულიყო „ყოჩებსა“ და „ექსპრესს“ შორის, მაგრამ ექსპრესელთა გამოუცხადებლობის გამო იგი არ შედგა. „ყოჩებს“ მოგება ჩაეთვლებათ, „ექსპრესს“ კი ერთი ქულა დააკლდება.

ექვსეულის სატურნირო ცხრილი კი საბოლოოდ ასე დალაგდა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 24 | 22 | 2 | 0 | 907:224 | 128:22 | 46 |
| დათვები | 24 | 16 | 2 | 6 | 588:219 | 83:22 | 34 |
| ექსპრესი | 24 | 15 | 0 | 9 | 639:277 | 95:33 | 29 |
| ასკ | 24 | 13 | 0 | 11 | 463:421 | 66:60 | 26 |
| გუმარი | 24 | 10 | 0 | 14 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 24 | 4 | 0 | 20 | 129:896 | 9:138 | 7 |

*„ექსპრესს“, „გუმარს“ და „დინამოს“ დაკლებული აქვთ თითო ქულა.*

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ყოჩები“ — ასკ, „დათვები“ — „ექსპრესი“. ეს ეტაპი ერთმატჩიანია და შეხვედრები პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 23 ნოემბერს გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო პოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



REUTERS



კარლჰაინც პფლიპსენის გოლმა „მონხენგლადბახი“ ახმედ იასერისა და ტიმო ლანგეს (№2) „ჰანზასთან“ ფრედ ათამაშა

## გერმანია

XIII ტური

**ვერდერი 0:1 კაიზერსლაუტერნი**
0:1 რამზი (75)

**ჰანზა 1:1 მიონხენგლადბახი**
0:1 პფლიპსენი (34), 1:1 მაიაკი (51)

მეორე ბუნდესლიგა
XIV ტური

**კოტბუსი 0:2 ობერჰაუზენი**
0:1, 0:2 ვებერი (34, 56)

**მაინცი 0:0 დიუსელდორფი**

**ჰანოვერი 2:1 კიკერსი**
0:1 ვინკლერი (1), 1:1 კრეუტსი (36), 2:1 რეინჰარდტი (40)

**უნტერჰახინგი 3:1 ბერლინი**
1:0 ლუსტი (6), 1:1 კოპადო (33), 2:1 რაკლი (45), 3:1 აპიმფუფი (90)

## თურქეთი

XII ტური

**ქოჯაელი 2:0 დარდანელი**

## შვეიცარია

XVIII ტური

**სერვეტი 2:0 გრასჰოპერი**
1:0 რეი (10), 2:0 ბიულმანი (60)

# სიტყვის კაცი და საუკეთესო

*გახსოვთ ალბათ, ორიოდე თვის წინ „სარბიელში“ გიორგი დემეტრაძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც „ალანიას“ ქართველი ლეგიონერი ბომბარდირთა სამეულში მოხვედრას დაპირდა ქართველ გულშემატკივარს და აჰა, აასრულა კიდეც დანაპირები: ლამის რუსეთის ჩემპიონატის შუაგულში თამაშდაწყებულმა დემემ ერთიმეორის მიყოლებით შეყარა ბურთები მეტოქეთა კარებში და წინ მხოლოდ როტორელი ვერეტენნიკოვი გაუშვა, თვითონ კი ცსკა-ს ხომუხასთან ერთად თოთხმეტი გატანილი გოლით მეორე-მესამე ადგილები განაწილა.*

*აქედან გამომდინარე, გიორგი დემეტრაძე სიტყვის კაცია.*

*მკითხველისთვის ისიც ცნობილია, რომ პოპულარული რუსული გამოცემა — „ფუტბოლ რევიუ“ ყოველწლიურად აწყობს გამოკითხვას უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდების მწვრთნელთა შორის, რომლებიც რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშესა და საუკეთესო დებიუტანტს ასახელებენ. როგორც გახსოვთ, შარშან საუკეთესო დებიუტანტად ალანიელი ქართველი ლევან კობიაშვილი აღიარეს. წელსაც ჩაატარა „ფუტბოლ რევიუმ“ ტრადიციული გამოკითხვა და საუკეთესო დებიუტანტი კვლავ ალანიელი ქართველი, ამჯერად გიორგი დემეტრაძე გახდა.*

*აქედან გამომდინარე, გიორგი დემეტრაძე საუკეთესოა.*

*ერთი სიტყვით, გიორგი დემეტრაძე სიტყვის კაცია და საუკეთესო.*

*აბა, ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ იქნებოდა და დემესაც შევეხმიანეთ. გიორგი ჩვეულად, თავაზიანად დაგვეთანხმდა და შეხვედრაც შედგა:*

**— გიორგი, „ალანიას“ მესვეურებმა როგორ შეაფასეს განვლილი სეზონი?**

— მეპატრონეებმაც და მწვრთნელმაც არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს გუნდის გამოსვლაცა და შედეგიც. ისინი იმედგაცრუებულნი დარჩნენ და, როგორც გვითხრეს, ბევრ რამესაც შეცვლიან მომავალში. „ალანია“ ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა და გაისადაც ამის გაკეთებას აპირებს. ვლადიკავკაზში უკვე ემზადებიან ამისთვის, ემზადება ყველა — გულშემატკივრიდან დაწყებული, მეპატრონეებით დამთავრებული.

**— თვითონ გაზაევმა რას, ან ვის დააბრალა წარუმატებლობა?**

— არავის და ყველას. გუნდის წარმატებას ან წარუმატებლობას თვითონ გუნდი განსაზღვრავს და არა რომელიმე ცალკეული წევრი. გაზაევმაც ასევე ყველა ჩვენგანს (თავის თავსაც) დააბრალა წარუმატებელი სეზონი.

**— პირადად შენს თამაშს რა შეფასება მისცეს?**

— თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და გუნდში საუკეთესოდ მაღიარეს. მწვრთნელმაც გულშემატკივარმაც მესვეურებმაც კარგად იცოდნენ, რომ მოსამზადებელი პერიოდი არ მქონდა გავლილი და, ალბათ, ბევრსაც არ მომთხოვდნენ, მიუხედავად ამისა, თამაში მაინც კარგად წამივიდა და სასიხარულოა, რომ ჩემი გარჯა დაინახეს.

**— გიორგი, თანამედროვე ფეხბურთში გუნდის ლიდერი უმეტესად ბომბარდირია-ხოლმე. „ალანიას“ ბომბარდირი გახდი, რას გვეტყვი, არის თუ არა გიორგი დემეტრაძე „ალანიას“ ლიდერი?**

— ლიდერობაზე რა გითხრათ. გუნდის ლიდერი ცოტა სხვა რამეა. ლიდერი განსაზღვრავს გუნდის სათამაშო მანერას, თამაშის სტილს. ლიდერმა ნებისმიერი შეხვედრის წაყვანა და თანაგუნდელების აყოლიება უნდა შეძლოს. ჩემს მისვლამდე „ალანიას“ მხოლოდ თხუთმეტი ბურთი ჰქონდა გატანილი, მისვლის შემდეგ კი ოცდაშვიდი გავიტანეთ, აქედან გამომდინარე, ჩემი „ალანიაში“ თამაში სასიკეთოდ წაადგა გუნდს, დასკვნები კი თავად გააკეთეთ.

**— მოსკოვის „დინამოსთან“ სათასო შეხვედრა ოსური კლუბისთვის სეზონის ბოლო თამაში გამოდგა. ამ მატჩზე რას იტყვით?**

— ეს მატჩი ცალკე სალაპარაკო თემაა. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ყველაფრის ჩვენს გუნდზე დაბრალებაც არ იქნება მართალი. წაგებაში მთავარი როლი სათამაშო მოედანმა შეასრულა. მატჩამდე დაგვპირდნენ, რომ მინდორზე ხელოვნურ გათბობას ჩართავდნენ, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა, თამაშმა ფაქტობრივად მთლიანად გაყინულ მინდორზე მოგვიწია, ბუცები სრიალებდა და ბურთის თამაშზე მეტად იმას ვცდილობდით, არ წავქცეულიყავით.

**— გიორგი, „ალანიამ“ რომ საგაისოდ დიდი გეგმები დაისახა, ამაზე უკვე გვითხარი. დიდი გეგმების განხორციელებას სათანადო შემსრულებლები სჭირდება, თუ აპირებენ გუნდის მესვეურები ფეხბურთელების დამატებას? კერძოდ, რომელი სათამაშო რგოლის გაძლიერება სურთ?**

— გუნდში რომ ბევრი რამ შეიცვლება, ეს ვიცი, მაგრამ კონკრეტულად რა და როგორ, ამას ჯერჯერობით ვერ გეტყვით. თვითონ გაზაევმა გვითხრა, რომ 12-დან 15 ნოემბრამდე ყველაფერს გაგვაგებინებს. კერძოდ, გვეცოდინება, ტრანსფერზე ვის დააყენებენ და რომელ ფეხბურთელს დაიმატებენ. ერთი რამ ნათელია, „ალანიას“ ყველაზე მეტად მეკარე უჭირს და აუცილებლად შეიძენენ ვინმეს.

**— მორიგი სეზონისთვის როგორ აპირებს გუნდი მომზადებას?**

— „ალანიას“ სამთვიანი მოსამზადებელი ციკლი აქვს დაგეგმილი. შეკრება 21 დეკემბერს დაგვეწყება და 27 დეკემბრამდე ბაზაზე ვივარჯიშებთ. ამის მერე საახალწლოდ ყველას შინ დაგვითხოვენ და ახალი წლის მერე ისევ შევიკრიბებით. ორ თუ სამ იანვარს მივფრინავთ ისრაელში შეკრებაზე. საერთოდ, მრავალფეროვანი შეკრებები დაუგეგმეს „ალანიას“. ისრაელიდან პორტუგალიაში წავალთ, მერე კი ჰოლანდიაში, იტალიაში და, ალბათ, ისევ ისრაელში. ერთი სიტყვით, ერთობ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გველის.

**— გიორგი, ამჟამად „ალანიას“ კი ეკუთვნი, მაგრამ რაიმეს შეცვლას ხომ არ აპირებ სამომავლოდ? იქნებ კონტრაქტის ახლებურად დადება გსურს, ან მიწვევები ხომ არ გაგიჩნდა?**

— არა, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. მე კვლავ გუნდში ვრჩები და ცვლილებებიც ნაკლებადაა მოსალოდნელი. თუმცა ერთ კვირაში, როცა ოსეთში ჩავალ, შეიძლება დამხვდეს კიდეც რაიმე სიახლე. ვინ იცის, იქნებ რომელიმე უცხოური გუნდი სერიოზულად დაინტერესდეს ჩემით. ისე არ გამიგოთ, რომ გუნდის დატოვებას ვეშურებოდე, მაგრამ თუ მოწვევები მექნა, შეიძლება გადავხედო ჩემს კონტრაქტს „ალანიასთან“.

**— გიორგი, ამჟამად ბევრი იწერება რუსულ ფეხბურთში არსებული გარიგებული და ჩაწყობილი თამაშების შესახებ. შენი აზრი უდავოდ საინტერესო იქნება მკითხველისთვის. ამის შესახებ რას იტყოდი?**



ჩვენს ახალგაზრდებს მოლდოვასთან გიორგი დემეტრაძის გოლმა გაამარჯვებინა

— ბევრს ვერაფერს, „ალანიას“ რომ თამაშები ჩაეწყო, გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევდით ჩემპიონატზეც და თასზეც. სხვებთან შედარებით მოსკოვური გუნდები ნამდვილად სარგებლობენ მსაჯთა სიმპათიებით, მაგრამ რომ ვთქვა, ყველაფერი წინასწარაა გათვლილი და დაგეგმილი-მეთქი, არ ვიქნები მართალი.

**— „ალანიას“ ბრაზილიელი ლეგიონერების თამაში როგორ შეაფასეს საბოლოოდ?**

— ისე რა... დამაკმაყოფილებლად.

**— დაბოლოს, გიორგი დემეტრაძე რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტი გახდა...**

— ალალად გეტყვი, გამიხარდა კიდე[ც] და მეტი თვითდაჯერებაც ვიგრძენი. თი[თ]ქმის ნახევარი სეზონი ვითამაშე, მეტ[ი] არა და აი, მაღიარეს. რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია. თუ მწვრთნელთა ჩამონათვალს შეხედავთ, შენიშნავთ, თვით სერგეი ანდრეევმაც კი მამჯობინა სხვებს, მაშინ, როცა მისი ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ ყველამ იცის... ისე დავით ყიფიანმა მესამე ადგილი მომანიჭა.

ერთი სიტყვით, ისე გაიმარჯვა ქართველმა კაცმა, მეორე ქართველის დახმარება და ბიძგი არ გასჭირვებია. ვერაფერს იტყვი, ღირსეული წინსვლაა. ჩვენ[ს] რა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვო[თ] გიორგი დემეტრაძეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# კრილიას მარჯვენა ფრთა უვარდება

ოთხშაბათს, 18 ნოემბერს, საქართველოს კლუბების ნაკრები ესტონეთის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. საამხანაგოდ ვლადიმერ გუცაევმა ზოგიერთ ლეგიონერსაც უხმო, მათ შორის ახალგაზრდული ნაკრების წევრ გიორგი რევაზიშვილს. გიორგიმ მოკლე პერიოდში მართლაც დიდი პროგრესი განიცადა და კლუბის რიგითი მოთამაშიდან ახალგაზრდული ნაკრების სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბდა. მეტიც, მისი გააზრებული თამაში უცხოელმა სპეციალისტებმაც შეამჩნიეს და სამი თვის წინ გიორგი რუსულ „კრილია სოვეტოვში“ გადავიდა. სამარაში მისით ყველა კმაყოფილი იყო. გუნდის მთავარი მწვრთნელი ავერიანოვიც გამორჩეული ყურადღებით ეპყრობოდა, მაგრამ სეზონის ბოლოს „საბჭოთა ფრთებს“ საშინაო საქმეები არევიათ...



მონატრებული გიორგის ნახვით ბებიამ და პაპამ დიდად გაიხარეს

— კლუბში ამჟამად მართლაც ცუდი მდგომარეობა შეიქმნა. მოგეხსენებათ, შარშან „კრილია“ რუსეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე გავიდა, წლეულს კი გუნდი გავარდნას ძლივს გადაურჩა. ამან ხელმძღვანელობის შეცვლა გამოიწვია. გაათავისუფლეს გუნდის მთავარი მწვრთნელი. სერიოზული ცვლილებებია დირექტორატშიც. ისე, მთავარ მწვრთნელად სამარელებს ტარხანოვის მოწვევა სურთ, თუმცა ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

**— შენი საქმე როგორ არის, სამარელებთან განშორებას ხომ არ ფიქრობ.**

— სამთვიანი იჯარის ვადა ამოიწურა. პირობის თანახმად, თუ კლუბს მოვეწონებოდი, ჩემთან თანამშრომლობას კვლავ გააგრძელებდა. სიმართლე გითხრათ, სამარელები დარჩენას და ახალი კონტრაქტის გაფორმებას მთხოვენ, მაგრამ რაკი ასეთი პირობები შეიქმნა, არ ვჩქარობ, მინდა, სწორი არჩევანი გავაკეთო.

**— როგორც ვატყობ, შენი მენეჯერი უსაქმოდ არ უნდა იყოს.**

— მოწვევები მართლაც მაქვს. ჩემმა მენეჯერმა — ჰამლეტ კვარაცხელიამ მაცნობა, რომ თურქეთის უმაღლესი დივიზიონის რამდენიმე კლუბი დაინტერესებულა. უფრო დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. გარდა ამისა, „შინიკის“ ხელმძღვანელობა პირადად შემეხმიანა და სერიოზული პირობებიც შემომთავაზა. დაველოდები, როგორ განვითარდება მოვლენები სამარაში, არ მინდა, მცდარი არჩევანი გავაკეთო.

**— გუცაევმა ესტონელთა წინააღმდეგ სათამაშოდ გიხმო...**

— სიმართლე გითხრათ, ნაკრებში გამოძახების ფურცელი არც მიმიღია. უბრალოდ, სეზონი დამთავრდა და ჩამოვედი. ყველაფერი, ალბათ, იმის ბრალია, რომ კლუბის პრეზიდენტის ოფისი დაკეტილია, ჩემთვის ფაქსით გამოგზავნილი შეტყობინების მომცემი კი არავინ აღმოჩნდა. ესტონელები ბოლო დროის მართლაც სერიოზულად მოძლიერდნენ. ვეცდები, გუცაევს ნდობა გავუმართლო. ნებისმიერი რანგის ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია.

**— „კრილია სოვეტოვში“ მოთამაშე ჩვენებურებზეც გვითხარი...**

— ფოფხაძე, წიკლაური და მინაშვილიც ჩემნაირ გაურკვევლობაში არიან. საერთოდ, კლუბში თხუთმეტ კაცს დაუმთავრდა კონტრაქტი. ამ საკითხის მოგვარებას კი მყარი ფინანსური გარანტია სჭირდება. ყველაფერი მალე გაირკვევა და მათი ბედიც მაშინ გადაწყდება.

**პაატა ქვანტალიანი**

# არსოშვილის (ლოკო)მოტივი

„ რა უბედურებაა-სამი თამაშია, გოლი ვერ გაგვაქვს. კიდევ კარგი, მცველები მაინ[ც] თამაშობენ ნორმალურად, მაგრამ დღეს მათაც გაუჭირდათ“- აღშფოთებას ვერ მალა[ვ]და „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი.

მართლაც, იმ დღეს ფეხბურთელებმა ვერც თავდასხმაში ივარგეს, ვერც დაცვაში და რომ არა იღბალი, შეიძლება დამარცხებულიყვნენ კიდეც „გორდასთან“, დამარცხებული ყვნენ პირველად ამ ჩემპიონატში.

თბილისის „ლოკომოტივი“ არასდროს ყოფილა ქართული ფეხბურთის გრანდი არა, გრანდი არც ახლაა, მაგრამ რკინიგზელები დღემდე ნათამაშევ ცამეტ შეხვედრაში არ დამარცხებულან და რაც მთავარია, ყველაზე ნაკლები ბურთი აქვთ გაშვებული თუმც ვერც მეტოქის კარში შეგდებული გოლებით დაიკვეხნიან - ცამეტ მატჩში თხუთმეტი გოლი, რბილად რომ ვთქვათ, საშუალო შედეგია, ის კი არა, ბოლო სამ[ი] ტურია, ფეხბურთელებს საერთოდ ვერ გაუტანიათ.

სამი კვირაა, გუნდი გელა კვიტატიანმა დატოვა. მიზეზი ფინანსური პრობლემ[ები] ყოფილა. თუ რა ძალაცაა გელა გუნდისთვის, ალბათ, ყველას კარგად მოეხსენებ[ა] თუმც მისი წასვლით რკინიგზელებს დაცვაში უშველებელი არაფერი დამართნიათ. ე[ს] იმის გამო, რომ გუნდში არსოშვილი, ბალაშვილი, თარხნიშვილი თამაშობენ. ესენი [კ]ი რა დარის მობურთალებიც არიან, შედეგიდან ჩანს. მაგრამ დროის სვლასთან ერთა[დ] კლუბში ვითარებაც შეიცვალა. რუსთაველებთან მატჩში ბევრმა შეამჩნია მაყურებელთ[ა] შორის მჯდარი არსოშვილი, კაციაშვილიც არ თამაშობდა და პრობლემებიც ამიტო[მ] შეექმნათ რკინიგზელებს. მიზეზი ისევ და ისევ ფინანსებია - არსოშვილს შეპირებულ[ი] თანხა არ გადაუხადეს და მასაც თამაშზე უარი განუცხადებია. თემურ მახარაძის თქმი[თ] ფეხბურთელსა და ვიცე-პრეზიდენტს ამ თემაზე უსაუბრიათ. ეს უკანასკნელი კუთვნი[]ლის ანაზღაურებას დაჰპირებია და ამიტომაცაა, რომ აცხადებს, მისი უთამაშებლობ[ის] მიზეზი ჩემთვის უცნობიაო. „ჩვენ იგი „დინამოდან“ გვყავს ნათხოვარი და ძალია[ნ] გვინდა, მეორე წრეში ჩვენთან ითამაშოს, მაგრამ ეს მასზეა დამოკიდებული“- გვითხრ[ა] მახარაძემ.

არსოშვილის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა და, ალბათ, ისიც გადაწყდებ[ა] დარჩება თუ არა არსოშვილი კლუბში. არა და, რაოდენ საჭიროა იგი გუნდისათვი[ს] ეს „დინამოსთან“ მატჩმაც დაადასტურა- იმ დღეს ხომ დიტო შეუვალი იყო.

**პაატა თოთაძ[ე]**

# ესტონელებმა აგვირიეს

თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები 19 ნოემბერს გაიმართება. ვინაიდ[ან] საქართველოს კლუბების ნაკრების ძირითად ბირთვს თბილისის „დინამოს“, „ლოკ[ო]მოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები შეადგენენ, მათი სათასო შეხვ[ე]დრები — „ლოკომოტივი“ — „დინამო“ და „ტორპედო“ — „კოლხეთი“ 19-ის ნაცვლა[დ] 26 ნოემბერს ჩატარდება.

ჩემპიონატის მეექვსე ტურის შეხვედრა — „დინამო“ — „კოლხეთი“ 30 ნოემბერ[ს] შედგება, ხოლო მეთხუთმეტე ტურის მატჩი „ვიტ ჯორჯია“ — „ოდიში“ ნაცვლად [2..] ნოემბრისა 23 ნოემბერს.

**მიხეილ საგახტარიშვილ[ი]**

# მოკვდა პაპანდოპულო, მოკვდა!

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს გამართული მატჩების უმრავლესობა ნაწყობილის წაავგავს ხოლმე. დამითმე ახლა ეს თამაში და სეზონის მიწურულს ვალს აუცილებლად გაგისტუმრებო, ამგვარი ლოგიკით ბევრი გაბრიყვებული გვინახავს, რადგან ჩემპიონატის ბოლოს, როგორც წესი, ყველა გუნდს ჰაერივით სჭირდება ქულა და ვალების გასტუმრების გადავადებას პაპანდოპულოს ჩამოსვლამდე ცდილობენ. ჰოდა, ვისაც კიდევ სჯერა ასეთი დაპირებების, იმათ გასაგონად ვამბობთ — პაპანდოპულო მოკვდა! მის გაცოცხლებამდე და შინ დაბრუნებამდე კი აჯობებს, ალალად და კაცურად ითამაშოთ ფეხბურთი.

საქართველოს ჩემპიონატი
14 ტური

თბილისი
15 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
75 000

**დინამო — დილა**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი);
ს. კახიანი, ს. შალამბერიძე;
ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ?

ეს შეხვედრა რომ რომელიმე ნორმალური საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატისა ყოფილიყო, უდავოდ დიდი ინტრიგა და აჟიოტაჟი დაებედებოდა — ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს და იმიტომ. ჩვენში კი თითქმის სულ ერთია, ვინ, სად და როდის შეებრძოლება „დინამოს". შედეგი მუდამ ერთნაირია. მარადი ჩემპიონი, როგორც წესი, ყოველთვის იგებს.

„დილას" წარმატებული სტარტი საშუალებას აძლევს, პირველი წრე ისე დაამთავროს, ყველას ათქმევინოს, გორელებს თავი ქუდში აქვთო. ვერც გაუმტყუნებ კაცი ქართლელებს ამ არხეინობას — ჯერ კიდევ გუშინ სპორტსკოლაში მოთამაშე ბიჭებმა ლამის მთელი წრე ლიდერობაში გალიეს. იციან, რომ მეტს არავინ მოსთხოვთ, ისიც იციან, ჩემპიონები რომ ვერ გახდებიან და ნახევრად მშიერმა ხალხმა თავი რაღაზე მოიკლას?

ერთიცაა, „დინამოსთან" პაიჭაძეზე რომ მოიგო, ამისთვის „ტილბურგი" უნდა გერქვას და ჰოლანდიის ჩემპიონატში ჭიდაობდე. გორის „დილას" კი ჰაუ რამდენი უკლია „ტილბურგამდე"– გორის „დილას" ყველაზე მეტი — ფრეს გახერხება ძალუძს მარად ჩემპიონთან, თუმც ესეც საკითხავია...

„დინამო" კი ველარ არის ძველებურად ძლიერი. ამაში როლი იმანაც ითამაშა, რომ წამყვანი ფეხბურთელები უცხოეთს ეშურებიან და „დინამოს" დამრიგებლის განცხადებით, მან ფაქტობრივად წასული ხალხი მოაბრუნა, რათა დროებით დახმარებოდნენ გუნდს. წასული კაცი კი ძველებურად რომ ვერ გაირჯება, არახალია. ბედი „დინამოსი" (და უბედობა ქართული ფეხბურთისა), რომ სხვა ქართული გუნდებიც ვერ არიან ძალაზე, უჭირთ და არც პატრონი ჰყავთ, თორემ მარადი ჩემპიონის ძალგულოვნებას აუცილებლად შეეპარებოდა წყალი.

ხვალ ალბათ ჩემპიონი იმარჯვებს „ლოკომოტივთან" ზედიზედ ორი ფრე (ჩემპიონატში და თასზე), ალბათ, გვარიანად გააღიზიანებდათ დინამოელებს და, თქმა არ უნდა, ისინი მოგებისთვის იბრძოლებენ.

თანაც ბოლო ხანს ავად მყოფი რატი ალექსიძეც დაიბრუნეს თბილისელებმა.

ეს არის და ეს. თამაში იქნება რა, ისე რა თამაში, მეათე ეროვნულის შესაფერისი, არც მაინცდამაინც გადასარევი და არც მთლად ისეთი, ესენი მთლად წყალწალებულნი ყოფილანო, რომ ათქმევინოს მაყურებელს (ოღონდ თუ მოვიდა).



წააქცევს რატი ალექსიძის „დინამო" გიორგი ჩიტაიას (№7) „დილას"?

თბილისი
14 ნოემბერი
14 საათი
ისანი
5 000

**არსენალი — სამგურალი**

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ზ. დოლიძე, ზ. მენთეშაშვილი;
მ. მაღალურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: გ. კოპალეიშვილი

ტურის გახსნით მატჩში ის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, რომლებიც არც მაძღრებს განეკუთვნებიან და არც მშივრებს. ბოლო დროს ორივემ საგრძნობლად მოუმატა თამაშს, რაც გათამაშების ცხრილსაც უმალ დაეტყო. წინა ტურში არმიელებმაც და წყალტუბოელებმაც სტუმრად გაიმარჯვეს, „არსენალმა" ზუგდიდში „ოდიშს" მოუგო 2:1, ხოლო „სამგურალმა" პატარა სენსაცია მოახდინა, როდესაც გორში „დილა" 1:0 დაამარცხა.

ორივე გუნდის წინსვლაში უდიდესი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს — მამუკა გეგეჭკორს და გაიოზ დარსაძეს. მართალია, გეგეჭკორი არმიელებს ახლახან ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით გამართული სამი მატჩიდან „არსენალი" ერთხელაც არ დამარცხებულა. ასევე სამი თამაშია, არ წაუგია „სამგურალსაც". ასე რომ, ამ გუნდებს ბევრი საერთო აქვთ.

რაც შეეხება თავად ამ მატჩს, იგი, ალბათ, დაძაბული და საინტერესო იქნება.

მცხეთა
15 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
3 000

**თსუ — იბერია**

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
დ. თოდუა (მარტვილი), გ. ხოხიაშვილი;
ზ. დარჩია (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

მიმდინარე სეზონი სამტრედიელებმა ამბიციებით დაიწყეს — პირველ ჯგუფში დაბრუნებულებმა ევროტურნირებში მონაწილეობა დაისახეს მიზნად, მაგრამ ბოლო დროს მათმა თამაშმა ნათელყო, რომ მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ამის მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. ბოლო ოთხ ტურში „იბერიამ" მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, რასაც სამტრედიელთა პრეზიდენტის ნუგზარ ნიკოლაიშვილის უკმაყოფილება და მთავარი მწვრთნელის ბადრი ქორიძის გუნდიდან წასვლა მოჰყვა. ახლა სამტრედიელებს უდამრიგებლოდ მოუწევთ მცხეთაში თსუ-სთან სტუმრობა. სტუდენტებმა ნელ-ნელა კი გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ოფლისღვრა მოუწევთ, რათა აუტსაიდერთა რიგებს თავი დააღწიონ. რისი პრობლემაც „იბერიას არ აწუხებს".

ამ მატჩში რომელიმე გუნდის ფავორიტად მიჩნევა ძნელია. ყველაფერს მინდორზე ფეხბურთელთა მონდომება გადაწყვეტს.

ბოლნისი
15 ნოემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
3 000

**სიონი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია;
კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი);
გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

შარშან ამ გუნდების შეხვედრაში, ბოლნისში, „ლოკომოტივმა" ორი უპასუხო გოლის გატანა შეძლო. რკინიგზელები ამის გამეორებას უთუოდ ხვალაც შეეცდებიან. მით უფრო, რომ თემურ მახარაძის გუნდს ამბიციებიც საკმაოდ მოსჭარბებია. თუმცა, რკინიგზელთა წლევანდელი წარმატებული სვლა (გუნდი ჯერ არ დამარცხებულა) გაუთავებელი ფრედ ნათამაშევი შეხვედრების ფონზე გარკვეულწილად დაიჩრდილა კიდეც. 18 ოქტომბერს „სამგურალთან" სტუმრად გამარჯვების შემდეგ „ლოკომოტივს" დღემდე არ მოუგია. თასის მერვედფინალის პირველი შეხვედრის ჩათვლით, ოთხი მატჩი ფრედ ითამაშა, თან ერთნაირი ანგარიშით — 0:0. „სიონი" კი შინ ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ არის, ბოლნისელებს ბევრჯერ დაუმტკიცებიათ. თანაც ბოლო დროს ქვემო ქართლელებმა აშკარად უმატეს — ბოლო ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს.

რუსთავი
15 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
10 700

**გორდა — ტორპედო**

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი);
ა. ორდენიძე (ონი), ზ. დოლიძე;
გ. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

შარშანდელ სეზონში ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა ქუთაისში დროულად არ ჩატარებულა. მიზეზი „გორდას" გამოუცხადებლობა გახლდათ. რუსთაველები მოწამლულან და მატჩიც ამიტომ გადაიდო. ხვალ კი ამჯერად სტუმარ ტორპედოელებს რუსთაველები შეიძლება კვლავ არ გამოუცხადდნენ. არა, მასპინძლები ახლა ნამდვილად არ მოწამლულან, მაგრამ ფეხბურთელებს საჭმელი კი ენატრებათ. მიზეზიც ეს არის. „გორდა" კუთვნილ გასამრჯელოს ითხოვს და პროტესტის ნიშნად მატჩის ჩაშლით იმუქრება. დაიღალნენ ფეხბურთელები გაუთავებელი დაპირებებით. ისინი ხომ ფაქტობრივად, ენთუზიაზმით თამაშობენ. „გორდას" ხელმძღვანელებს, ალბათ, გვარიანი ძალისხმევა დასჭირდებათ ფეხბურთელთა დასაყოლიებლად და თუ მიზანს მიაღწიეს, საეჭვოა, ამგვარი განწყობით სტუმრებს რაიმე დააკლონ. „ტორპედომ" ხომ რუსთაველთა მსგავსი სახადი უკვე გადაიტანეს და გვეყო, რაც დავკარგეთო, ამ მატჩს სრული სერიოზულობით მოუდგებიან.

ფოთი
15 ნოემბერი
14 საათი
ფაზისი
10 000

**კოლხეთი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე;
ა. მემკოვი (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ორივე გუნდმა სეზონი განსხვავებულად დაიწყო. ჩემპიონატის სტარტი „კოლხეთის" კრიზისს დაემთხვა, „ვიტ ჯორჯიამ" კი პირიქით, აღმავლობით ჩაატარა პირველი სამი შეხვედრა და გათამაშების ლიდერადაც მოგვევლინა. შემდეგ ვეტერინარებსაც ჰქონდათ დიდი ჩავარდნა, რის გამოც მთავარი მწვრთნელი მოისაკლისეს. აი, ფოთელებმა კი ჩვეული ფორმა დაიბრუნეს და ლიდერთა შორის დაიდეს ბინა.

ამ შეხვედრის ფავორიტი, რა თქმა უნდა, „კოლხეთია". წინა ტურში ბათუმში დამარცხების მერე ზღვისპირელებმა მოახერხეს ძალების აღდგენა და თასის მერვედფინალში „ტორპედოს" სძლიეს.

აუტსაიდერ „ვიტ ჯორჯიას" საამმატჩოდ სრული მობილიზება მართებს, თორემ პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება ერთობ გაუჭირდება.

შარშანდელ სეზონში ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში მასპინძლებმა იმარჯვეს. ფოთში კოლხებმა 1:0 მოუგეს სტუმრებს, თბილისში კი — ვიტელებმა, 2:1.

ზუგდიდი
15 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
7 500

**ოდიში — ბათუმი**

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი);
ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი);
მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

უკიდურესად შეჭირვებულისა და დალხინებულის პაექრობაში უპირატესობას სტუმრებს ვანიჭებთ. ბოლო ოთხ ტურში „ოდიშმა" მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო და ისიც შინ უნივერსიტეტელების არცთუ ძლიერ გუნდთან. უპრეტენზიოდ და უფულოდ დარჩენილი ოდიშარები სათასო შეხვედრაშიც შერცხვნენ „მერანთან". თუმცა, მგზავრობით დაქანცული ზუგდიდელებისგან მეტს არც არავინ ელოდა.

„ბათუმმა" კი, როგორც იქნა, აიწყვიტა. ზღვისპირელებმა ბოლო სამი მატჩი მოიგეს. თასის მერვედფინალში გორშიც იმარჯვეს „დილასთან" და მათი შეჩერება ახლა ძალიან რთულია. თუმცა ზუგდიდში თამაში რომ იოლი არაა, ცნობილი ფაქტია. „ოდიში" ხომ შინაურ კედლებში ორმაგი ენერგიით ბურთაობს.

შარშანდელ სეზონში „ბათუმმა" დაძლია ზუგდიდური კომპლექსი და 4:1 გაანადგურა მასპინძლები. ოდიშარებს კი ასეთი არ ავიწყდებათ, წყენის გულში ჩადება სჩვევიათ...

თბილისი
16 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
2 000

**მერანი — გურია**

მსაჯები: ს. კახიანი;
ა. ქარქაშაძე, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი);
შ. ბერიძე (ახპინძა)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

მართალია, „მერანი" მეათე ეროვნულ ჩემპიონატში საკადრისად ვერ გამოიყურება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შეხვედრაში ფავორიტებად მაინც ტრანსპორტელები ითვლებიან. თუმცა მათ მიერ ბოლო შვიდ ტურში ნაჩვენებ შედეგებს თუ გადავხედავთ, კაცს ეჭვი გაუჩნდება. „მერანმა" ამ შვიდი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო, ზედიზედ ოთხჯერ კი ფრედ დაასრულა შეხვედრა და თან ოთხჯერვე 0:0. უკეთეს დღეში არც გურულები არიან, მათ ბოლო შვიდ მატჩში ექვსი მარცხი იწვნიეს, აქედან ოთხჯერ დიდი ანგარიშით და ახლა ცხრილში ბოლო ადგილი უჭირავთ.

ასე რომ, ორშაბათს თბილისში აუტსაიდერთა უკომპრომისო ბრძოლა გველის.

საქართველოს ჩემპიონატი
13 ტური

6 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| თსუ | 1 |

7 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ოდიში | 1 |
| არსენალი | 2 |
| ბათუმი | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| იბერია | 1 |
| სიონი | 2 |
| ლოკომოტივი | 0 |
| გორდა | 0 |
| ტორპედო | 2 |
| მერანი | 0 |
| გურია | 0 |
| დინამო | 1 |
| დილა | 0 |
| სამგურალი | 1 |

XV ტური

21 ნოემბერი. შაბათი

ვიტ ჯორჯია — ოდიში

22 ნოემბერი. კვირა

ბათუმი — არსენალი
იბერია — კოლხეთი
ლოკომოტივი — თსუ
ტორპედო — სიონი
გურია — გორდა
დილა — მერანი
სამგურალი — დინამო

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 12 | 9 | 3 | 0 | 37:7 | +30 | 30 | 6 | 5 | 1 | 0 | 27:6 | +21 | 16 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | +9 | 14 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 13 | 9 | 2 | 2 | 31:13 | +18 | 29 | 6 | 5 | 1 | 0 | 20:5 | +15 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | +3 | 13 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 12 | 7 | 2 | 3 | 29:16 | +13 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | +17 | 19 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 4 ბათუმი (2) | 6 | 13 | 6 | 5 | 2 | 21:11 | +10 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | +10 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 9 |
| 5 ლოკომოტივი (6) | 4 | 13 | 5 | 8 | 0 | 15:5 | +10 | 23 | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | +4 | 10 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | +6 | 13 |
| 6 დილა (9) | 5 | 13 | 6 | 3 | 4 | 18:14 | +4 | 21 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | +5 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 7 იბერია (?) | 7 | 13 | 5 | 1 | 7 | 23:28 | -5 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | +5 | 10 | 7 | 2 | 0 | 5 | 10:20 | -10 | 6 |
| 8 არსენალი (?) | 9 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | -5 | 10 |
| 9 სიონი (13) | 13 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:28 | -13 | 14 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | +2 | 11 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:19 | -15 | 3 |
| 10 სამგურალი (12) | 14 | 13 | 4 | 1 | 8 | 12:27 | -15 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:20 | -14 | 4 |
| 11 ოდიში (5) | 8 | 13 | 4 | 1 | 8 | 10:23 | -13 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 12 გორდა (11) | 11 | 13 | 2 | 7 | 4 | 7:8 | -1 | 13 | 7 | 2 | 4 | 1 | 5:3 | +2 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 13 მერანი (7) | 10 | 13 | 2 | 7 | 4 | 7:13 | -6 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 2:2 | 0 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 14 თსუ (8) | 16 | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | -6 | 12 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | -5 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 |
| 15 ვიტ ჯორჯია (10) | 12 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:15 | -2 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:9 | -1 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 8 |
| 16 გურია (14) | 15 | 13 | 3 | 1 | 9 | 14:32 | -18 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:23 | -18 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# შენკლის უკანასკნელი ბიჭი

„ენფილდ როუდზე" არის ჭიშკარი, რომელიც დიდი ბილ შენკლის სახელს ატარებს. ხუთშაბათს ამ ჭიშკრიდან კაცი გავიდა და დასრულდა ეპოქა, რომელმაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო იმპერიის მეორე გუნდი შვა. ეს კაცი როი ევანსი გახლავთ.

ევანსი 30 წლის განმავლობაში „ენფილდის" ნაწილი იყო.

1959 წელს ბილ შენკლიმ „ჰადერსფილდი" დატოვა და „ლივერპულში" გადა-



როი ევანსი

ვიდა. გუნდში მისი მისვლა და ახალი თეორიების, იდეებისა და ტექნიკის დანერგვა ერთი გამოდგა. ასე დაიწყო ლეგენდარული კლუბის მშენებლობა.

თავიდან იყო შენკლი, მერე ბობ პეისლი, ჯო ფეგანი და კენი დალგლიში. მათ „ენფილდის" მუზეუმი ჯილდოებით აავსეს. 1959-91 წლებში „შენკლის ბიჭებმა" ქვეყნის ჩემპიონის ცამეტი ტიტული, ოთხი ევროპის ჩემპიონთა თასი, ორი უეფას თასი, ოთხი ფეხბურთის ასოციაციის თასი, ხუთი ლიგის თასი და სუპერთასი მოიპოვეს.

1991 წელს დალგლიში გადადგა. იგი ყოფილმა თანაგუნდელმა, გრემ სუნესმა შეცვალა.

სუნესი ძლიერებიანი, უკომპრომისო კაცის სახელით იყო ცნობილი. იგი მანამდე შოტლანდიაში, „რეინჯერსში" აღწევდა წარმატებებს მაგრამ მივიდა „ლივერპულში" და 33 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჯილდო, ასოციაციის თასი მოიგო. პრიზების ფოიერვერკს ნაჩვევი ლივერპულელები იმედგაცრუებულნი დარჩნენ.

1994 წლის იანვარში სუნესმა დატოვა „ენფილდ როუდი", კლუბი კი ძველის, ტრადიციულისა და ტრიუმფალურის ძიებას შეუდგა. ის თვლიდა რომ აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა იმ ფესვებს, რომელმაც ყველასთვის საშიშ გუნდად აქცია. შენკლის, პეისლისა და ფეგანის ნიადაგზე აღზრდილი კაცი იყო მოსაძებნი.

და „ლივერპულში" როი ევანსი გაახსენდათ. ევანსი დიდი დროების ასისტენტი მწვრთნელი გახლდათ, მას 12 ჩემპიონობაში ჰქონდა შეტანილი წვლილი.

„უილიამ ჰილი", ცნობილი ინგლისური საბუქმეიქერო ფირმა ნიძლავებს ჩადიოდა, რადგან ახსოვდა შენკლის სიტყვები, ევანსი ერთ მშვენიერ დღეს „წითლების" თავკაცი გახდებაო.

— საოცრად ვამაყობ და თავს ბედნიერად ვთვლი ასეთი დიდი გუნდის სათავეში რომ ჩამაყენეს. „ლივერპული" არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს საუკეთესო კლუბია და მისი ფანები მწვრთნელთაგან საუკეთესო თამაშსა და შედეგებს ელიან. ჩემი მიზანია გუნდი კუთვნილ, ღირსეულ ადგილას დავაბრუნო" — ამბობდა მაშინ ევანსი, მაგრამ ერთგულმა მსახურმა დიდებას ვერ მიაღწია.

რა შედეგები ჰქონდა ევანსს? მისმა „ლივერპულმა" ერთხელ ლიგის თასი მოიპოვა, ერთხელ ასოციაციის თასის ფინალში გავიდა, ერთხელ ევროპის თასების თასის ნახევარფინალამდე მიაღწია, ხოლო ჩემპიონატებში მეოთხე ადგილზე დაბლა არასდროს დაშვებულა. წარმატებაა ეს? ზოგადად, რა თქმა უნდა წარმატებაა, მაგრამ „ლივერპულისთვის" არა.

ევანსს ტრანსფერებმაც ვერ უშველა. 1995 წლის ივლისში მან ბრიტანული სატრანსფერო რეკორდი დაამყარა — სტენ კოლიმორში 8,5 მილიონი გირვანქა ანუ 14,10 მილიონი დოლარი გადაიხადა, მაგრამ კოლიმორმა ევანსს თავსატეხი გაუჩინა, წარმატება კი არ მოუტანა. ფეხბურთელი გამუდმებით ჭირვეულობდა, სარეზერვო გუნდში თამაშს თაკილობდა და ბოლოს გუდანაბადი აიკრა და „ასტონ ვილასკენ" გასწია.

ევანსის მორიგი ნაბიჯი მილანის „ინტერისგან" პოლ ინსის 4,1 მილიონ გირვანქად (6,8 მილიონ დოლარად) ყიდვა გახლდათ. ამბობდნენ ინსი უშველის „ლივერპულსო", მაგრამ არ გამოდგა მართალი.

და აი, გასულ ზაფხულს „ენფილდზე" ფრანგი ჟერარ ულიე გამოჩნდა. ულიე საფრანგეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელის, ემე ჟაკეს წინამორბედი გახლავთ. სამფეროვანთა წარმატებას ნაწილობრივ მის სახელსაც უკავშირებდნენ, რამეთუ ბოლოხანს იგი ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. „ენფილდის" პატრონებმა მას ევანსის „ტყუპისცალი", „ლივერპულის" თანამწვრთნელი უწოდეს.

1959 წლის, ანუ შენკლის მერე ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კლუბში დიდი თანამდებობა დაიკავა კაცმა, რომელსაც „ლივერპულთან" აღრე არაფერი აკავშირებდა. ევანსისთვის ყველაფერი ნათელი უნდა ყოფილიყო.

— ალბათ გარკვეული სირთულეები შეიქმნება, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით ერთად გამოვასწოროთ გუნდის საქმე — რეალისტურად განაცხადა ულიემ ლივერპულში ჩასვლისთანავე.

— ვერ ვხედავ, რატომ უნდა იყოს ჟერარის დანიშვნა ჩემთვის საბედისწერო — იხტიბარს არ იტეხდა ან ვერ ხვდებოდა ევანსი.

სინამდვილეში კი ცხადზე უცხადესი იყო: „ლივერპულის" ნებისმიერი წარმატება ფრანგს მიეწერებოდა, წარუმატებლობა — ევანსს. ასეც მოხდა, ახალი სეზონი გუნდმა ცუდად დაიწყო, ბოლოს კვირების მანძილზე „წითლებს" ერთი ხეირიანი შედეგისთვისაც არ მიუღწევიათ და...

ხუთშაბათს ევანსი თანამდებობიდან გადადგა. „ლივერპულის" თავმჯდომარემ დევიდ მურსმა განაცხადა, რომ ამიერიდან ერთადერთ მწვრთნელად ჟერარ ულიე დარჩება, ევანსის 34 წლიანი ერთგულება კი წარსულს ჩაბარდა. მასთან ერთად წარსულს ჩაბარდა „შენკლის ბიჭების" ეპოქაც.

— ჩრდილად ქცევა არ მჩვევია. ჟერარისთვის სრული ძალაუფლების გადაცემა საუკეთესო გამოსავალი იყო და მე ეს ნაბიჯი გადავდგი. დღეს ჩემთვის ცა მოიღრუბლა, მაგრამ პესიმიზმს არ ვქადაგებ, პირიქით, ბიჭებს მუხლჩაუხრელი შრომისკენ მოვუწოდებ. ვიცი, ისინი მოიპოვებენ რაც ეკუთვნით და „ლივერპული" კვლავ მწვერვალზე მოექცევა — ბრძანა ევანსმა და შენკლის ჭიშკრიდან გავიდა.

ულიემ კი უკვე პირველი გადაწყვეტილება მიიღო, ასისტენტად „ლივერპულის" ყოფილი კაპიტანი, ფილ ტომასონი დაინიშნა. გარდა ამისა, მან კლუბის ხელმძღვანელობას ფული მოსთხოვა, ახალი ვარსკვლავების შესაძენად მჭირდებაო.

ამრიგად, „ლივერპულის" სათავეში ერთი ადამიანი, 51 წლის წინ საფრანგეთში, კერძოდ ტერუანში დაბადებული პედაგოგი, უმაღლესი სასწავლებლის ყო-



ჟერარ ულიე

ფილი ლექტორი ჟერარ ულიე დარჩა.

ულიეს სამწვრთნელო მოღვაწეობა 1973 წელს იღებს სათავეს. კარგა ხანს იგი პატარა კლუბებში იმაღლებდა კვალიფიკაციას, 1982 წელს კი „ლანსის" წვრთნას მიჰყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით „ლანსმა" საფრანგეთის ჩემპიონატში უეფას თასზე გამსვლელი ადგილი მოიპოვა, 1985 წელს კი ულიე „პარი სენ ჟერმენში" მიიწვიეს.

1988-ში „ლივერპულის" დღევანდელი თავკაცი საფრანგეთის ნაკრებში მიშელ პლატინის ასისტენტად დანიშნეს, 1992 წლის 9 ივლისს კი მთავარი მწვრთნელიც გახდა.

სწორედ ულიე თავკაცობდა სამფეროვანთ 1993 წლის25 ნოემბრის იმ ავბედით საღამოს, როდესაც „პარკ დე პრენსზე" ბულგარეთის ნაკრებმა ბოლო წამზე გატანილი გოლით ისინი აშშ 94-ის მიღმა დატოვა. შემდეგ ულიე ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა და ტექნიკურ დირექტორობას მიჰყო ხელი...

**პაპუნა ძიძია**

ჭირშიც და ლხინშიც ერთ პირობს მეუღლე მუდამ გვერდით ჰყავს. ამჯერად მეილს მუხლი იტკინა და ცოლ-შვილს საფრანგეთის ქალაქ ლიონის კლინიკაში ჩასულიც აქ მიაცილეს.



REUTERS

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | VIII ჯგუფი. იუგოსლავია - ირლანდია

მეკარეები: ივიცა კრალი (პორტუ, პორტუგალია), ნიკოლა დანიანაცი (პარტიზანი), საშა ილიჩი (ჩარლტონი, ინგლისი); მცველები: გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ნიშა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი, გერმანია); ნახევარმცველები: სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუს ეითი, იაპონია), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), იოვან სტანკოვიჩი (მალიორკა, ესპანეთი), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), ნენად გროზდიჩი (ობილიჩი), ჯორჯე ტომიჩი (პარტიზანი); თავდამსხმელები: პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), საშა კოვაჩევიჩი (ობილიჩი)

**ამხანაგური მატჩი** | 18 ნოემბერი. პორტუგალია - ისრაელი

მეკარეები: ვიტორ ბაია (ბარსელონა, ესპანეთი), პედრო ესპინია (გიმარაეში); მცველები: აბელ შავიერი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), პაულო მადეირა (ბენფიკა), დიმაშ ტეიშეირა (ფენერბახჩე, თურქეთი), კარლოს ლიტოსი (ბოავიშტა), ბეტო სევერო (სპორტინგი); ნახევარმცველები: პაულინიო სანტუში (პორტუ), პაულო ბენტო (ოვიედო, ესპანეთი), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), პაულო სოუზა (ინტერი, იტალია), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), ფრანსისკო კოსტინია (მონაკო, საფრანგეთი), დანი (აიაქსი, ჰოლანდია), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), სიმაო სარბოსა (სპორტინგი); თავდამსხმელები: პედრო პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი), სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი), ჟორჟე კოუტუ (ბოავიშტა)

**ამხანაგური მატჩი** | 18 ნოემბერი. გერმანია - ჰოლანდია

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), ოსკარ მოენსი (ალკმაარი); მცველები: ფრანკ დე ბური (აიაქსი), იააპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კიის ვან ვონდერენი (ფეიენოორდი), მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი), მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი); ნახევარმცველები: ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), კლარენს ზეედორფი (რეალი, ესპანეთი), არონ ვინტერი (ინტერი, იტალია); თავდამსხმელები: დენის ბერხკამპი (არსენალი, ინგლისი), მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), მიხაელ მოლსი (უტრეხტი), პეტერ ვან ფოსენი (ფეიენოორდი), ჯეფრი ტალანი (ჰერენვენი), რუდ ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი)

**ამხანაგური მატჩი** | 18 ნოემბერი. ინგლისი - ჩეხეთი

მეკარეები: დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდს იუნაიტედი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი); მცველები: მარტინ კეონი (არსენალი), ენდი ჰინჩკლიფი (შეფილდ უენსდეი), გრემ ლე სო (ჩელსი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), სოლ კემპბელი (ტოტენჰემ ჰოთსპური); ნახევარმცველები: ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლი ჰენდრი (ასტონ ვილა), დევიდ ბეტი (ნიუკასლ იუნაიტედი), დარენ ანდერტონი (ტოტენჰემი), დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ მერსონი (ასტონ ვილა), ჯეიმი რედნაპი (ლივერპული), პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი); თავდამსხმელები: ალან შირერი (ნიუკასლ იუნაიტედი), იან რაიტი (ვესტ ჰემი), რობი ფაულერი (ლივერპული), დიონ დაბლინი (ასტონ ვილა), ემილ ჰესკი (ლესტერი).

**ამხანაგური მატჩი** | 18 ნოემბერი. იტალია - ესპანეთი

მეკარეები: სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), ტონი ხიმენესი (ესპანიოლი); მცველები: აგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), სერხი (ბარსელონა), პაკო ხემესი (სარაგოსა), მიჩელ სალგადო (სელტა), მარსელინო ელენა (მალიორკა); ნახევარმცველები: ხუან კარლოს ვალერონი (ატლეტიკო), ჰიტორ ალკისა (ბილბაო), ფრანსისკო დე პედრო (სოსიედადი), ვისენტე ენგონგა (მალიორკა), ივან ელგუერა (ესპანიოლი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო); თავდამსხმელები: ხოსება ეჩებერია (ბილბაო), დანი გარსია (მალიორკა), რაული (რეალი), ხუან სანჩესი (სელტა), ისმაელ ურსაისი (ბილბაო).

**ამხანაგური მატჩი** | 18 ნოემბერი. უნგრეთი - შვეიცარია

მეკარეები: გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (მტკ); მცველები: პალ ლაკოში (დიორ ეტო), გეორგი კორსოში (დიორ ეტო), ვილმოშ სებოკი (უიპეშტი), ჩაბა ფეჰერი (უიპეშტი), ტამას პეტო (უიპეშტი), იანოშ ჰრუტკა (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), იანოშ მატიასი (ფერენცვაროში), ტამას შეკერეში (მტკ); ნახევარმცველები: ბელა ილეში (მტკ), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), იშტვან პისონტი (აინტრახტი, გერმანია), მიკლოშ ლენდვაი (ფერენცვაროში), იოზეფ სომოგი (დიორ ეტო), ნორბერტ ტოტი (უიპეშტი), ოტო ვინცე (ფერენცვაროში); თავდამსხმელები: გაბორ ეგრეში (დიოშდიორი), მიკლოშ ფეჰერი (პორტუ, პორტუგალია), რობერტ ვალტნერი (ვიდეოტონი), მიკლოშ ერცეგი (უიპეშტი), იოზეფ სებოკი (ზალაეგერშეგი).

# დანა არ უნდა ესროლათ

ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, უეფამ, პოლონური გუნდი, კრაკოვის „ვისლა" ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი: ოქტომბერში, უეფას თასის შეხვედრაში იტალიური „პარმას" წინააღმდეგ, მავანმა კრაკოველმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მეტალის საგანი ესროლა სტუმარი გუნდის ნახევარმცველს, იტალიის ნაკრების წევრს, დინო ბაჯოს. საგანი, რომელიც, როგორც ჩანს, დანა იყო, ფეხბურთელს თავში მოხვდა. ბაჯომ თამაში სამედიცინო დახმარების შემდეგ განაგრძო.

— „ვისლა" უეფას შეჯიბრებებში ვერ ითამაშებს ხუთი სეზონიდან პირველსავე წელიწადს, როგორც კი მათზე გამსვლელ ადგილს მოიპოვებს." — განმარტა ტომაშ იაგოძინსკიმ, პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-ატაშემ.

# ბრაზილიური ზნე გერმანიაში მიუღებელია

მიუნხენის „ბაიერნმა" ხელმეორედ დააჯარიმა თავისი ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი. ერთ კვირაში მეორე სასჯელი ელბერმა პრეს-კონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო მიიღო.

„დისციპლინის დარღვევას არავის ვაპატიებ" — განაცხადა „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მწვრთნელის ბრძანებით ბრაზილიელი 5 000 მარკით დაჯარიმდა, რაც ამერიკულ დოლარებში 2957-ის ტოლია.

მოგეხსენებათ, ერთი დღით ადრე ელბერს ერთი 5 000-ის გადახდაც დააველეს. ამის მიზეზი ის ხუთი ყვითელი ბარათი გახლდათ, ელბერმა ამ სეზონში რომ მიიღო, რაც კლუბში დაუდევრობად ჩაუთვალეს.

# მადრიდში მაკი უნდათ

მადრიდის „რეალის" ვიცე-პრეზიდენტმა, ხუან ონიევამ დაადასტურა, რომ გუშინ ესპანეთის დედაქალაქს ესტუმრა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, ლივერპულელი სტივ მაკმანამანი, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" მას და „რეალის" სხვა თავკაცებს შეხვდა.

— მაკმანამანი ჩვენთან გადმოსვლით დაინტერესებულია, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ ადრეულ სტადიაზეა — განაცხადა ონიევამ — „რეალი" ნიჭიერ ფეხბურთელებს ყოველთვის ეძებდა. მაკმანამანი კი ძალიან ნიჭიერია და ჩემი აზრით მაიკლ ოუენთან ერთად ინგლისის ნაკრებში საუკეთესოა.

გიო აჴვლედიანის

სვეტი

# ჩვენი საფეხბურთო საათი

თურმე გუშინ საათი უნდა გადაგვეწია. უნდა გადაგვეწია, თუ უნდა გამოგვეწია, კარგად არ ვიცი, მაგრამ ის კი დავადგინე, რომ საერთაშორისო ფეხბურთის გულშემატკივარი, თავის ჩვეულ გრაფიკს უახლოვდება.

აქ რარიგ დასვენებული და კმაყოფილი გახლდათ ღამის ფეხბურთის, ანუ ნამდვილი ფეხბურთის მოყვარული კაცი ამ შემოდგომაზე.

მთავარი ის იყო, რომ შუა კვირის ღამის ფეხბურთები ადამიანურ და გასაძლებ დროს, თერთმეტის ნახევარზე იწყებოდა და ისეთ მოსარგებ დროს მთავრდებოდა, რომ კაცი უდარდელად და მთქნარების გარეშე დაელოდებოდა ნაშუაღამევის მიმოხილვას.

აბა, რომელ გულშემატკივარს არ მოსწონდა ეს ამბავი?

თან კიდევ, საზოგადო აღიარებით, ეს ყოფილა ჩვენი, ნამდვილი, ქართული, ეროვნული დრო.

ამიტომ შემოდგომის „გადაწევაც" ფანტური სიყვარულით აღვასრულეთ. მაგრამ აი, მოვიდა ზამთარი. გაირკვა, რომ ისევე როგორც მთელს პროგრესულ კაცობრიობას, ჩვენც ადრიანად წამოგვეწევა სიბნელე: სრულ ხუთ საათზე ისე ბნელა, როგორც სრულ ნულ-ნულ საათზე. პროგრესულ კაცობრიობას ამ საქმისთვის ელექტროენერგია აქვს შემონახული, ჩვენ კი ამგვარი მარაგი არ გაგვაჩნია. გვაქვს სანთელი, მაგრამ რახან უმეტეს ადგილას სინათლე შვიდრვა საათამდე არ მოდის, ხოლო ბნელში მჯდომი კაცის ხელფასი ატლანტიკის ოკეანეში ჩაიძირა, ეს კაცი ფანჯრიდან შემომავალი შუქის იმედზეა. ფანჯრიდან კი ევროპული სიბნელე შემოდის.

თანაც ნაწყენმა ხალხმა თქვა, რომ თუ ხუთის ნაცვლად ექვსზე დაღამდება, ქვეყანას ეკონომია ექნებაო.

ამიტომ, მომავალი კვირიდან ჩვენი ღამის ფეხბურთი თორმეტის ნახევრიდან გვექნება.

ყოფილა უარესი დროც, როცა დილის ნახევარი საათით გავუსწრებდით, ლონდონს კი ხუთი საათით ჩამოვრჩებოდით. აბა ის იყო მხიარული და მტანჯველი ჟამი! ფეხბურთის ყურებაში დავათენდებოდა.

გასაგებია ჩვენი ქვეყნის დუხჭირი მდგომარეობა. განსაკუთრებით ბიუჯეტის ორპირობა, მოსახლეობის უსახსრობა, მაგრამ ჩვენც ხომ ჩვენი ხელობა გვაქვს?

კაცი იტყვის, ფეხბურთის ყურება აქ რა მოსატანია, როცა ეგეთ დღეში ვართო და ეგებ მართალიც იყოს, მაგრამ ათასობით ფეხბურთის მოყვარული რომ არც ვახსენოთ, ფეხბურთის ყურება საკმაოდ ბევრი ადამიანის პროფესიაა და ეს ხალხი ხელფასს სწორედ ამ საქმეში იღებს. თქვენ რომ გაზეთს კითხულობთ, იმ გაზეთის ხალხი ფეხბურთის ყურებითა და მასზე გარჩეთ ქმნის. ეს ხალხი წერას მაშინ იწყებს, როცა ფეხბურთი მთავრდება და გულშემატკივარი იძინებს, დილით კი კვლავ სამსახურში მოდის. ეს ხელობაა და წუწუნი არ ეგების, რადგან კაცი თავად ირჩევს ხელობას.

ეხლა კი აი რა არის: დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში დღე კიდევ უფრო მოიკლებს და შესაბამისად, კიდევ უფრო ადრე დაბნელდება. რომ ადგეს ვინმე და კიდევ ერთი საათით გადაგვიწიოს დრო, ანუ პარიზს კვლავ ოთხი საათით მოგვაშორონ, მაშინ ჩემპიონთა ლიგა ღამის პირველის ნახევარზე დაგვეწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ორი თამაშის მიყოლებით ყურება გადაწყვიტე, მეორე დღე ლოგინში უნდა გაატარო.

რა თქმა უნდა, ასეა. ამაზე ლაპარაკი სასაცილოა, ვინაიდან სახალხო გაჭირვებასთან, ფანობის გაჭირვება მოსატანი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ასე თქმა მიღებულია. მაგრამ ჩვენ ხომ მოქალაქენი ვართ? ყოველ მოქალაქეს კი, რა დასამალია და თავისი სამყარო აქვს. ამ სამყაროში ადამიანურად ყოფნა კი მისი უფლებაა.



# ნიჭიერი, მდიდარი და უკვე ცნობილი

*ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენის დროც მოახლოვდა. 25 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლი" „ოქროს ბურთის" მფლობელს დაასახელებს. პრეტენდენტთა შორის ყველაზე უმცროსი მაიკლ ოუენია, ინგლისელი ბიჭი, რომელმაც ერთ წელიწადში უდიდეს წარმატებას მიაღწია — გახდა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი, ამასთანავე მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. ეს პატარა ამბავი სწორედ მაიკლ ოუენის შესახებ მოგვითხრობს. იმ ბიჭის შესახებ, რომელიც 18 წლის ასაკში მილიონერად იქცა.*



სარედაქციო არქივიდან

ნაკრებში. ალან შირერთან ერთად

### მაიკლ ჩესტერელი

1979 წლის 14 დეკემბერს დაიბადა, შობის დღესასწაულამდე ათი დღით ადრე. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩესტერში დაბადებული ბიჭუნა ინგლისელთა კერპი გახდებოდა. რომ ეს პატარა ბიჭი ფეხბურთელის ნიჭით იქნებოდა დაჯილდოებული და მილიონობით ქომაგს ულამაზესი გოლებით ალაფრთოვანებდა.

თავდაპირველად იყო ეზო და არა ჩესტერის საფეხბურთო გუნდი, როგორც ამას ათასგვარ გამოცემებში წერენ. სწორედ ეზო, მოგვიანებით კი სახლის წინ მდებარე პატარა ბაღი იქცა ოუენისთვის იმ ასპარეზად, სადაც იგი ფეხბურთის ხელოვნებას ეუფლებოდა.

დრო გავიდა. მაიკლი გაიზარდა და მალე „ჩესტერში" ამოყო თავი. ბომბარდირად დაბადებული ყმაწვილი კლუბის მწვრთნელმა უმალ შეამჩნია და წინ, თავდასხმაში გაამწესა. მას შემდეგ მაიკლი იქ, წინ, მეტოქის კარის მისადგომებთან თამაშობს. სწორედ თავდასხმაში გაიზარდა მაიკლ ჩესტერელი.

გოლი გოლზე გაჰქონდა. კლუბი ზედიზედ იგებდა შეხვედრებს. მაიკლი თითქმის ყოველი თამაშის შემდეგ პრიზით ჯილდოვდებოდა. „ჩესტერს" „ბრედფორდ სიტი" მოჰყვა, შემდეგ ლივერპულის სახელოვანი „ევერტონი", მაგრამ ყველაზე დიდხანს მაიკლი მაინც ლივერპულის კოლეჯში გაჩერდა, სწორედ იქ, საიდანაც გზა გაიკვლია ქალაქის უპირველეს გუნდში — „ენფილდ როუდზე".

შემდეგ წარმატებაც მოვიდა. პატარა მაიკლი „ლივერპულში" მოხვდა, ერთ წელიწადში კი გლენ ჰოდლის ნაკრებშიც ამოყო თავი. მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, არგენტინელების წინააღმდეგ, მაიკლ ოუენმა გაიბრწყინა — მოედნის ცენტრს ოდნავ გადაცილებულმა შესანიშნავად მიიღო ბურთი, გასცდა სამ მეტოქეს, ზედ ცრუმოძრაობით კარიდან გამოტყუებული კარლოს როაც მიაყოლა და უძლიერესი დარტყმით არგენტინელთა კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა.

მეოთხედფინალში მაინც არგენტინა გავიდა, მაგრამ ის გოლი, რომელიც ოუენმა გაიტანა, ტურნირზე შეგდებულ ორასამდე ბურთიდან გამორჩეული იყო, ინგ-



სარედაქციო არქივიდან

პატარა ლივერპულელი

ლისში კი მსოფლიოს ჩემპიონატის ულამაზეს გოლად აღიარეს. თავად მაიკლი ყაბულს არაა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი გოლი გავიდა. როას რომ გავუტანე, ის ბურთი ლამაზი იყო, მაგრამ არა ულამაზესი. მე მასზე გაცილებით შთამბეჭდავი გოლიც გამიტანია. მახსოვს, კოლეჯში თამაშისას, შოტლანდიელ თანატოლებს ვხვდებოდით. მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა, მაგრამ მათ ნახევარზე მყოფმა ოთხი თუ ხუთი სქოთი ჩამოვიშორე და უმალ გავიტანე — 2:1. იმ თამაშს SKY-ი გადასცემდა, მაგრამ ოპერატორმა ჩემი გოლი კადრში ვერ მოახვედრა. ის შოტლანდიელის გოლს იმეორებდა".

### 17 წლის პროფესიონალი

კოლეჯის გუნდში მაიკლმა სამი წელიწადი გაატარა. სხვათა შორის, იქ თავის დროზე იან რაში, გარი სპიდი, ბარი ორნი და სხვა ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

კოლეჯი თანატოლთა შეჯიბრებაში ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ოუენთან ერთად გუნდში ბევრი სხვა ნიჭიერი ბიჭებიც ირიცხებოდნენ, მაგრამ ზოგს ფეხბურთზე მეტად გოგონები აინტერესებდა, ზოგისთვის მთავარი ფული იყო, ასეთი მიდგომით კი ისინი შორს ვერ წავიდოდნენ. როგორც ხედავთ, ვერც გააღწიეს. ოუენმა კი ბავშვობაში არჩეულ პროფესიას უერთგულა და ახლაც იმ გზას ადგას, რომელსაც პროფესიონალი ფეხბურთელობა ჰქვია.

მაშინ, კოლეჯში, მაიკლ ოუენი პატარა ბიჭი იყო. მხოლოდ და მხოლოდ 14 წლისა. ადვილი შესაძლებელი იყო, იმედისმომცემ თავდამსხმელად დარჩენილიყო, მაგრამ მამამისმა, მოგვიანებით კი უფროსმა ძმებმა, ეს არ დაუშვეს.

დევიდ ნიკოლსი, მაიკლის პირველი მწვრთნელი: „ბიჭების მშობლებთან კავშირი მუდამ მქონდა და იმთავითვე ვხვდებოდი, ვინ რას მიაღწევდა. ზოგი მოსწავლის მშობელს ბავშვები ჩვენთან იმ მიზნით დაჰყავდა, რომ ისინი ჯანმრთელები გაზრდილიყვნენ, ზოგსაც ძალიან უნდოდა, შვილი დიდი ფეხბურთელი გამხდარიყო. მაიკლი რომ კოლეჯში ვარჯიშობდა, მამა ხშირად უცქერდა. სწორედ ამის გამოა, ოუენი დიდ ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდა. მას პატარაობიდანვე საქმის ერთგულებას, პროფესიონალიზმს აჩვევდნენ".

1996 წელს, 16 წლის მაიკლ ოუენი „ლივერპულის" ახალგაზრდულ გუნდთან დებს კონტრაქტს. გარიგება ტონი სტეფნის წყალობით მოხდა — ალან შირერის აღმომჩენმა უმალ შეამჩნია ოუენის ნიჭი და ბიჭი ლივერპულელებს მიუყვანა. დიადი კლუბის მწვრთნელები გამჭრიახნი აღმოჩნდნენ. ვარსკვლავი ხელიდან არ გაუშვეს.

მალე მაიკლმა „ლივერპულის" მაისურითაც ითამაშა, ოღონდ თანატოლთა მატჩში — წითლები ქოვენთრელებს ხვდებოდნენ. შეცვლაზე შესულმა მაიკლმა ორი გოლი გაიტანა. გოლი გოლზე გაჰქონდა და მალე მეტსახელიც შეარქვეს — პატარა გარი ლინეკერი.

„როცა ჩემზე მიუთითეს და პატარა გარი ლინეკერიაო, თქვეს, მართალი გითხრათ, ძალიან გამიხარდა. ლინეკერი ჩემი კერპი იყო და მუდამ ვცდილობდი, მასსავით ბევრი გოლი გამეტანა. მგონი, ჯერჯერობით ლინეკერობას ვახერხებ" — მაიკლი ამას რომ ამბობდა, იცინოდა და ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის აღმოჩენა გახდებოდა.

1997 წელს მაიკლ ოუენის ოცნება ასრულდა — ბიჭმა პრემიერლიგაში ითამაშა. „ლივერპული" „უიმბლდონს" ხვდებოდა. მაიკლმა პატრიკ ბერგერი შეცვალა და მალე გოლიც გაიტანა. იმ მატჩში არ მონაწილეობდა რობი ფაულერი: „როცა „ლივერპულში" პირველად ვითამაშე, მეც ოუენის ტოლი ვიყავი, მაგრამ მაიკლის თამაში რომ ვიხილე, სულაც არ მიფიქრია, რომ ის დებიუტანტი იყო. მაიკლი პროფესიონალადაა დაბადებული".

### ყველაზე პატარა ინგლისელი

არის ხოლმე, უცბად აალებული კოცონი მალევე ქრება. ასეთი რამ ფეხბურთელებშიც მომხდარა — ვინმე ნიჭიერს ერთ დღეს (პირობითად) გარშემომყოფნი აულაპარაკებია, მეორე დღეს კი იგი არავის გახსენებია.

მაიკლი ინგლისის საფეხბურთო სამყაროში შეიჭრა — 18 წლის ბიჭი ნაკრებშიც მოხვდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა, მაგრამ საფრანგეთამდე დიდი გზა გაიარა. „ლივერპულში" ძლიერი თამაში ინგლისელთა მწვრთნელ გლენ ჰოდლს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ოუენის ნაკრებში გამოძახება ინგლისელთათვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ბიჭს პრემიერლიგაში გოლი გოლზე გაჰქონდა და აბა, რატომ უნდა შეეფერხებინათ მისი გუნდში აყვანა? ნუთუ იმიტომ, რომ მაიკლი მხოლოდ და მხოლოდ 17 წლის იყო? ალბათ, არა.

როცა მაიკლმა „ლივერპულის" მეორე შემადგენლობაში პირველად ითამაშა, მან ორი გოლი შეაგდო. როდესაც მაიკლი უკვე დიდ „ლივერპულში" ათამაშეს, პრემიერლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა. ნაკრებში ასე არ მოხდა. პირველ გოლს ბიჭმა რამდენიმე თვე უცადა. მერე გაიტანა კიდეც.

წლეულს, საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. მერვედფინალში ოუენმა არგენტინელებს გოლი გაუტანა. მანამდე რუმინელთა კარის აღება მოასწრო და ამ ორ გოლთან ერთად ბრწყინვალე თამაშითაც დაამახსოვრა გულშემატკივრებს თავი.

... არგენტინელებთან დამარცხებული ინგლისელები მინდვრიდან თავაწეულნი გადიან. ცრემლმორეული მაიკლ ოუენი დამწუხრებულ ფანებს ხელს დაუქნევს და გუნდს შეერევა.

სამშობლოში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ იგი უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II.

— ვგრძნობ, ხალხი მგულშემატკივრობს, მათ ვუყვარვარ და მინდა, სითბო და კეთილგანწყობა მინდორზე კარგი თამაშით გადავუხადო. არაფერია იმაზე უკეთესი ფეხბურთელისთვის, როცა გოლი გააქვს და მილიონობით ქომაგს ახარებს — პატარა ინგლისელი მართლაც ძალიან პოპულარულია.

### და ბოლოს: შემდეგ?

მსოფლიოს ჩემპიონატი ოთხი წლის შემდეგ გაიმართება, 2002 წელს. ინგლისელებმაც ოქროს თასის მეორედ მოგების იმედი ოთხი წლით გადადეს. მანამდე ევროპის ჩემპიონატია. ტურნირი, რომელიც ინგლისელებს არასდროს მოუგიათ. ჩემპიონატი ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართება, თუმცა სავსებით შესაძლებელია, კონტინენტის პირველობამ ინგლისის გარეშე ჩაიაროს.

— ძალიან მინდა ევროპის ჩემპიონატზე თამაში. ჩვენ ნამდვილად კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ დღესდღეობით გვიჭირს. მწამს, პრობლემებს დავძლევთ და ფეხბურთის სამშობლო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა — 18 წლის მაიკლმა კარგად იცის მას ბევრს თხოვენ.

„ფრანს ფუტბოლი"
1998 წლის სექტემბერი
თარგმნა ქახა თალაკვაძემ

საჭირბოროტო
კითხვა-პასუხი

**— ძობილო, ტრანსფერი რა არის?**

— აღარ გაიმეორო ეგ საშინელი სიტყვა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ქვეყნად არ არსებობს მაგაზე საშინელი სიტყვა.

**— მართლა? აბა, ტელევიზორში რომ ამბობენ და არ რცხვენიათ?**

— რას ამბობენ ტელევიზორში?

**— ტრანსფერი შედგაო.**

— ჰოდა, სწორედ ეგ არის ყველაზე დიდი უბედურება.

**— დაახლოებით რას ჰგავს ეგ ტრანსფერი?**

— დაახლოებით... აი, ერთი ცალი კარტოფილი რომ ასი დოლარი დაგიფასონ და რომ იყიდო.

**— რატომ უნდა ვიყიდო?**

— იმიტომ, რომ ყველანი გეუბნებიან, აუ, ნახე რა მაგარი კარტოფილიაო.

**— კარტოფილში ას დოლარს როგორ მივცემ?**

— არ არის უფრო იაფად და...

**— ეგ სხვა საქმეა.**

— სხვა საქმე კია, მაგრამ შენც გამუდმებით უნდა იძახო, ასეთი კარტოფილი ქვეყანაზე არ არისო.

**— რატომ?**

— აბა, ბითურად ხომ არ გამოჩნდები? ხომ იტყვიან, ნახე ერთ ცალ ჩვეულებრივ კარტოფილში ასი დოლარი გადაიხადაო.

**— და სხვები რატომღა აქებენ იმ კარტოფილს?**

— ხელფასს იღებენ ამ საქმეში და აქებენ.

**— კი მაგრამ, როგორ უნდა შემოგასაღონ უვარგისი კარტოფილი ას დოლარად?**

— გაგითლიან, დაგიჭრიან, ტაფაზე დაგიყრიან, შეგიწვავენ. საიდან მოიტანე, რომ უვარგისი კარტოფილია? საქმეც ეგ არის, რომ ჩვეულებრივია და ცალი ასი დოლარი ღირს.

**— უფრო იაფად არ იქნება?**

— უფრო იაფად კი გამოვა, მაგრამ ის იაფი, არც მთლად იაფი, სამაგიეროდ კი მთლად უვარგისი იქნება.

**— მაშ, ეს ქვეყანა კარტოფილის პიურე ყოფილა.**

— პიურემდე მიღწევა უნდა, ბევრი მუშაობა.

**— მუშაობა?**

— ხომ უნდა იძახო, ეს კარტოფილი მართლაც ასი დოლარი ღირსო. მუშაობაა, მაშ რა? თანაც, პიურესაც გაკეთება უნდა.

**— და რა იქნება, რომ გააკეთებ?**

— რა უნდა იყოს, მილანის „ინტერნაციონალე".

**— ასე ჰქვია პიურეს?**

— პიურეს კი არა... ტრანსფერი რა არისო, არ მეკითხებოდი?

**— მერე?**

— მერე აგიხსენი.

**— და ის კარტოფილი ვინ არის?**

— ეგ თავად გამოიცანი.

**— კარტოფილი როგორ გამოვიცნო? კარტოფილი კარტოფილია.**

— კარტოფილი კი არა კარტოფილები. ეგენი ყველანი ასდოლარიანი კარტოფილები არიან.

**— კარგად ვერ ვხვდები.**

— რას ვერ ხვდები? დი სტეფანო დათლიდა მაგ კარტოფილს, ტაფაზე დაყრიდა და შეახრამუნებდა. თუმცა, ისიც უნდა გითხრა, რომ ერთ ჭამაზე არ ეყოფოდა.

**— ცოტა ყოფილა.**

— ცოტა არა, უბრალოდ, პატარა კარტოფილებია. არც ბესტს ეყოფოდა, არც კრუიფს, დაჟე არც ჯანი რივერას.

**— ის რო იყო, ხუჭუჭთმიანი?**

— ვინ?

**— ამ ზაფხულს რომ სულ ვერტალიოტში იჯდა.**

— პლატინი...

**— დიახ.**

— არა, არც მაგას ეყოფოდა. ჯერ ბიჭი მოიზარდოს, არც ბიჭს ეყოფა.

**— ბიჭი ვინ არის?**

— მაიკლი, ოქრობიჭი.

**— და გაზა?**

— რა გაზა?

**— გაზას ეყოფოდა?**

— ადრე ეგებ არც ყოფნოდა. მერე ხომ თვითონაც გაკარტოფილდა.

**— მაინც ვერ გავიგე, რა არის ტრანსფერი.**

— ცუდი სიტყვაა. არ გაიმეორო.

**— და რატომ ღირს ერთი ცალი კარტოფილი ასი დოლარი?**

— ბაზარია ეგეთი.

**— დეზერტირების?**

— არა, ფეხბურთის.

## ფეხბურთის რუკასთან



გერმანული გუნდი, ფრანკფურტის „აინტრახტი“ ერთი თავდამსხმელის ძებნაში სამს მიადგა. მწვრთნელის, გერონტ რორის განცხადებით მასზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ფრანგმა ანტონი ბანკარელმა, ნორვეგიელმა კეილ კასამ და მოლდოველმა სერგეი კლეშჩენკომ. ამასთან, როგორც გაირკვა, სამივე თავდამსხმელი ერთად ის თანხა ჯდება, რომლის გაღებაც „აინტრახტს“ ხელეწიფება. უფრო სწორედ, საფრანგეთის მეორე დივიზიონში, „გინგამში“ მოთამაშე ბანკარელი და ნორვეგიული „ვალერენგას“ წევრი კასა მალე თავისუფალი აგენტები ხდებიან და მათ შესაძენად ერთი მარკის მოძიებაც კი არაა საჭირო. ხოლო მოლდოველ კლეშჩენკოში სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ ზომიერ თანხას ითხოვს.

ირლანდია 18 ნოემბერს ბელგრადში იუგოსლავიას ეთამაშება. ეს შეხვედრა ევრო 2000-ის შესარჩევია და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ირლანდიელთა გუნდში ამ მატჩისთვის არაა გამოძახებული ინგლისური „ლივერპულის“ მცველი ფილ ბები. მიზეზი ტრავმა გახლავთ. კერძოდ, ხუთი კვირის წინ ბები კარის ძელს შეეჯახა და მას მერე მოედანზე აღარ გასულა. „ფილი უთამაშებელია, ამიტომაც მის გამოძახებასა და სათადარიგოთა სკამზე დასმას აზრი არ აქვს“ — განმარტა ირლანდიის ნაკრების თავკაცმა მიკ მაკკარტიმ.

რუმინეთში პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა დედაქალაქის, ბუქარესტის ორი გუნდი, „სტიაუა“ და „დინამო“ დასაჯა. მიზეზი გულშემატკივართა თავაშვებულობა გახლდათ. „სტიაუას“ ოთხი შეხვედრის მშობლიურ სტადიონზე გამართვის უფლება ჩამოერთვა. ორი თამაშით იგივე ხვედრი ერგო „დინამოსაც“. უფრო კონკრეტულად დანაშაულის შესახებ: „სტიაუასა“ და „დინამოს“ დერბის დროს დაირღვა დადგენილი წესი იმის შესახებ, რომ კლუბებმა თავიანთი გულშემატკივრები იაფფასიან ტრიბუნაზე არ უნდა შეუშვან. ისინი ვალდებულნი იყვნენ ქომაგებისთვის ძვირიან ტრიბუნებზე შესასვლელი ბილეთები მიეყიდათ. კომიტეტმა, ცხადია, დამნაშავენი ფულითაც დააჯარიმა. „სტიაუას“ 1500 დოლარის გადახდა დაეკისრა, „დინამოს“ კი ათასი დოლარისა. ხსენებული შეხვედრა 1:1 დამთავრდა, მაგრამ გულშემატკივრებს შორის ატეხილმა ჩხუბმა „სტიაუას“ სტადიონზე დაახლოებით 500 სკამი შეიწირა. ვიდეოჩანაწერმა ამხილა, რომ აყალმაყალი „სტიაუას“ გულშემატკივრებმა დაიწყეს.

ისრაელში მომდევნო კვირაში ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრება უნდა გამართულიყო, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, უეფამ იგი გადაიტანა. როგორც ებრაელთა ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა ზეევ ზელტცერმა განაცხადა, უსაფრთხოების შესახებ პირველმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაიწყო ხმამაღალი საუბარი. მოგეხსენებათ, მსოფლიოს იმ რეგიონში, სადაც ისრაელი მდებარეობს, პოლიტიკური ვითარება დაძაბულია. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ისრაელის, ინგლისის, ესპანეთისა და ანდორის ნაკრებ გუნდებს. „უეფას უეცარმა გადაწყვეტილებამ მოულოდნელობის ეფექტი იქონია“ — განუცხადა ზელტცერმა ჟურნალისტებს.

ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ ახალ მწვრთნელს დევიდ ოლირის გარემარბი ლი შარპი არ მოსწონს და ამიტომ კლუბმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა. შარპი ადრე „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოდიოდა. გასულ სეზონში მას მუხლის მყესები დაუზიანდა და საერთოდ ვერ ითამაშა, ახალ სეზონში კი მხოლოდ ხუთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მართალია, თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მზადაა ყველა მატჩში ითამაშოს, მაგრამ ოლირი მის აზრს ანგარიშს არ უწევს. „ექვსიდან თორმეტ თამაშამდე რომ ჩამატარებინონ, დარწმუნდებიან, რომ მათი გადაწყვეტილება მცდარია“ — ამბობს შარპი.

გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე ანდრეას კეპკე „მარსელიდან“ წასვლას აპირებს. როგორც ჩანს, ყველაზე რეალურად მისი შეძენით შოტლანდიური „რეინჯერსია“ დაინტერესებული. გაზეთების თქმით, გლაზგოელებმა კეპკეს შეუთვალეს 48 საათში გელით და მოვილაპარაკოთო. მოგეხსენებათ, „რეინჯერსს“ გოლკიპერის პრობლემა აქვს. მისი ფრანგი მეკარე ლიონელ შარბონიე მუხლის ტრავმის გამო ამ სეზონში ველარ ითამაშებს, ხოლო ფინელი ანტი ნიემი აუვა თუ ვერა საქმეს, საკითხავია. 35 წლის კეპკეს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 59 თამაში აქვს ჩატარებული.

ესპანეთში „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი და ამავე კლუბის ყოფილი მწვრთნელი, ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი ერთმანეთს ვერ იტანენ. ორივე ამბობს, რომ მოქიშპემ მას შეურაცხყოფა მიაყენა. ისინი სასამართლოში ლამობდნენ ერთმანეთის დაჩოქებას. საქმე ეხება კრუიფის თანამდებობიდან მოხსნის დროინდელ ამბავს, რომლის შედეგადაც ნაწყენმა ჰოლანდიელმა პირველმა მიმართა არბიტრაჟს და აი, ვერდიქტიც: როგორც კრუიფი, ასევე ნუნიესი მორალური კომპენსაციის სახით თითო პესეტას მიიღებენ. ერთი პესეტა 0,0066 დოლარია. „მართალია, ორივე საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა, მაგრამ ის, რაზეც ისინი ჩივიან, ადამიანური ღირსების შელახვად ვერ ჩაითვლება“ — განაცხადა მოსამართლე მარია ხოსე ნუნიესმა, „ბარსელონას“ პრეზიდენტის მოგვარემ. კრუიფსა და ნუნიესს საჩივრისთვის 20 დღე აქვთ.

ბრაზილიის ჩემპიონატში, „ფლამენგოს“ სახელგანთქმულმა თავდამსხმელმა რომარიომ აგერ უკვე მესამე თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა. 1994 წლის მსოფლიოს პირველობის გმირმა, რომელსაც ქვეყნის მიმდინარე პირველობაზე 14 გოლი აქვს შეგდებული, საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტურში „პარანას“ მეკარეს ვერ აჯობა, რის გამოც მისმა გუნდმა 1:2 წააგო. ახლა იმის შესახებ, თუ რას ეწოდება საკვალიფიკაციო ეტაპი: ბრაზილიის პირველობაზე 24 გუნდი თითოჯერ უპირისპირდება ერთმანეთს, რათა რვა უძლიერესის ვინაობა გაარკვიოს. უძლიერესი რვა, მეოთხედფინალიდან განაგრძობს ბრძოლას, ცხრილის ბოლო გუნდები კი ლიგიდანვარდებიან. წლეულს მეოთხედფინალში გავიდნენ: „კრუზეირო“, „გრემიო“, „კორინტიანსი“, „პალმეირასი“, „კურიტიბა“, „სანტოსი“, „სპორტ რესიფე“ და „პორტუგეზა“.

ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ლონდონის „არსენალის“ თავდამსხმელი დენისი ბერხკამპი თვითმფრინავში რომ ვერ ჯდება, მთელმა მსოფლიომ იცის. მას ფრენის ეშინია. როგორც ჩანს, 29 წლის მოთამაშემ განკურნება გადაწყვიტა და ფსიქოთერაპევტთან მივიდა. საქმე ის გახლავთ, რომ „არსენალს“ ბერხკამპი ძალიან ჭირდება, ჩემპიონთა ლიგის ბოლო შეხვედრაში და იმედოვნებს, რომ იმ დროისთვის ჰოლანდიელს განკურნავენ. ბერხკამპს ჰიპნოთერაპევტი დანიელ ტოლომაკსი მკურნალობს. იგი 90 პროცენტით წარმატებას წინასწარმეტყველებს. „არსენალის“ თავდამსხმელს ფრენის მას მერე ეშინია, რაც 90-იანი წლების დასაწყისში ავიაკატასტროფამ სურინამელი მეგობრები მოუკლა. შემდეგ, 1994 წელს, როდესაც ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ჟურნალისტმა იხუმრა, თვითმფრინავში ბომბიაო, ბერხკამპმა დაიფიცა, რომ აღარასდროს შევიდოდა ავიალაინერში.

ინგლისელმა თავდამსხმელმა პოლ მერსონმა განაცხადა, რომ ნაკრებში თამაშს თავს ანებებს. „მსურს, კარიერის დარჩენილი წლები ბირმინგემის „ასტონ ვილას“ შევწირო. მინდა, ჩემი ძალა და გამოცდილება კლუბს მოვახმარო. ნაკრებში თამაში სულ სხვაა, საკმაოდ საპასუხისმგებლო რამაა, მე კი ვგრძნობ, ძალა აღარ შემწევს, ქვეყნის პირველ გუნდში ვითამაშო“ — განაცხადა მერსონმა. გამოსწორებულმა ნარკომანმა კარიერა ლონდონის „არსენალში“ დაიწყო. გუნდთან ერთად ორჯერ ინგლისის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მერე ალვირახსნილ ცხოვრებას მიეძალა და იმედისმომცემი თავდამსხმელიდან არარაობად იქცა. ახლა მერსონი „ასტონ ვილაშია“ და ნელნელა ძველ ფორმას სანახევროდ იბრუნებს.

იუგოსლავიის ჩემპიონატის მე-14 ტური. ბუდუჩნოსტი — მოგრენი 4:1, პარტიზანი — ჰაიდუკი 3:0, რადნიჩკი (კრაგუიევაცი) — სპარტაკი 3:2, სარტიდი — პრისტნია 3:0, ზემუნი — ოფკ 1:0, რიდი — ობილიჩი 0:2, პროტერი — მილიციონარი 0:1, ცრვენა ზვეზდა — ჟელეზნიკი 4:0, ვოივოდინა — რადნიჩკი (ნიში) 2:1. 42 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს ბელგრადის „პარტიზანი“, 36 ქულით მეორეზეა „ობილიჩი“, მესამე კი „ცრვენა ზვეზდაა“ 30 ქულით.

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

# 1982

# პაოლო როსი

# ...ოთხმოცდაორის ივლისში

*ლაშა გორგაძე*

პაოლო როსის კარიერას მუდამ თან სდევდა აღმასვლა და ჩავარდნა. ყოფილა ჩემპიონატები პაოლო როსი არავის შეუმჩნევია, არათუ დამახსოვრებია, მაგრამ იყო ტურნირები, სადაც ეს ტანმორჩილი იტალიელი ფეხბურთელი მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩენილა. ძლიერი თავდამსხმელები როსიმდეც და მის შემდეგაც ყოფილან, მაგრამ პაოლო მათ შორისაც გამორჩეულია. არც მანამდე და არც მას შემდეგ არ ყოფილა ისეთი ფეხბურთელი, პაოლოს დარი ცვალებადობით რომ გამოირჩეოდა. მას შეეძლო შეხვედრის ნახევარზე მეტი „ჩაეგდო“, მაგრამ ბოლოს სასწაული მოეხდინა. მას ახასიათებდა ბრწყინვალებიდან სხვათა ჩრდილში უცბად მოქცევა. ასევე მალე შეეძლო ფსკერზე დაშვებული, პირველი გამხდარიყო. და ყველაფერ ამასთან ერთად ის იყო ერთი, ჩვეულებრივი იტალიელი ფეხბურთელი, მოთამაშისთვის არაჩვეულებრივი კარიერით.

არიან ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიო აღიარებამდე წლობით, ნელ-ნელა, კუს ნაბიჯებით მიდიან. არიან ფეხბურთელები, რომლებიც წარმატებას უმალ აღწევენ. პაოლო როსი სწორედ ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე, პაოლო როსი ციხეში იჯდა.(?!)

70-იანი წლების მიწურულს იტალიურ ფეხბურთში კორუფციამ იფეთქა. გახშირდა „ჩაწყობილი თამაშები“, ათასგვარი მაქინაციები. ერთი სიტყვით, იტალიურ ფეხბურთს მძიმე სენი შეეყარა. ქვეყნის ფეხბურთის მმართველნი არ შემდრკალან — იმოქმედეს ისე, როგორც საჭირო იყო და დამნაშავენი დასაჯეს. შერისხულთა შორის პაოლო როსიც აღმოჩნდა. თავდამსხმელი ციხეში ჩასვეს, გარიგებაში მონაწილე კლუბები კი უმკაცრესად დასაჯეს — ქვედა დივიზიონში დააქვეითეს.

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა. ფინალურ ეტაპზე მოხვედრილ სხვა გუნდებთან ერთად, ტურნირისთვის იტალიაც გამალებული ემზადებოდა, მაგრამ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთა თავკაცი ენცო ბეარზოტი გრძნობდა, რომ მის ნაკრებს აკლდა ის, ვინც საჭირო დროს, საჭირო ადგილას გაჩნდებოდა და ნაკრების წარმატებას განაპირობებდა. ასეთ კაცად ბეარზოტის სწორედ პაოლო როსი მიაჩნდა, თუმცა მწვრთნელის რჩეული იმხანად ციხეში იჯდა.

საბოლოოდ, ყველაფერი იტალიის ხელისუფლების საქმეში ჩარევამ გადაწყვიტა. „შავ საქმიანობაში“ მხილებულ პაოლო როსის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება მისცეს. როსიც პირინეის ნახევარკუნძულს „სკუადრა აძურას“ რიგით მოთამაშედ ეწვია, სამშობლოში, აპენინის ნახევარკუნძულზე კი გმირად დაბრუნდა.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჭეშმარიტად პაოლო როსის ბენეფისად იქცა. როსისთან ერთად ბრწყინავდნენ რჩეული იტალიელი ფეხბურთელები.

1982 წლის 14 ივნისს აპენინელები მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაერთნენ, თუმცა ვიგოში პოლონელებს გოლი ვერ გაუტანეს. არც თავად გაუშვიათ. დიდი ვერაფერი თამაში იყო. მერე პოლონეთზე სუსტი პერუ. ამჯერად „სკუადრა აძურამ“ გოლი გაიტანა — ბრუნო კონტიმ იმარჯვა, მაგრამ აპენინელებმა თავადაც გაუშვეს ერთი ბურთი. კვლავ ფრე. მესამე მეტოქე პერუზე სუსტი კამერუნი გახლდათ და აქაც ფრე — 1:1. იტალია სირცხვილს გადაურჩა და მეტი გატანილი გოლის წყალობით შემდეგ ეტაპზე გავიდა. ზემოჩამოთვლილ შეხვედრებში იტალია ჩვეულებრივ გუნდად წარმოჩინდა, მაგრამ არა საჩემპიონოდ. არადა იმ პერიოდისთვის ბრაზილიას ულამაზესი შეხვედრები მოეგო, მიშელ პლატინის საფრანგეთიც ბრწყინავდა. მარადონიანი არგენტინაც ჩემპიონობის კანდიდატად განიხილებოდა. იყო გფრ-ც, პოლონეთიც. ერთი სიტყვით, ყველა, გარდა იტალიისა.

როცა შემდეგი ეტაპის კენჭისყრამ ჯგუფებში გუნდები გადაანაწილა, ფეხბურთის სპეციალისტებმა და ცხადია გულშემატკივრებმა, ბრაზილიასთან და არგენტინასთან მოხვედრილ „სკუადრა აძურას“ ჯვარი დაუსვეს. მათი რეაქცია ბუნებრივი, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ამავდროულად მცდარიც იყო.



პაოლო როსი! — ამ სახელმა ბრაზილიელებთან მატჩში იჭექა. მანამდე იტალიელებმა მოახერხეს და არგენტინის საკმაოდ უხეში გუნდი დაამარცხეს. თავის მხრივ მსოფლიოს ჩემპიონთა ძლევა ბრაზილიელებსაც მოესწროთ. სწორედ იტალია — ბრაზილიის დაპირისპირებას უნდა გადაეწყვიტა ვინ გავიდოდა ნახევარფინალში.

1982 წლის 5 ივლისს, ბარსელონაში, „ესტადიო ესპანიოლზე“, ებრაელი მსაჯის აბრამ კლეინის სასტვენით ეს შეხვედრა დაიწყო...

— იმ ღამით, მახსოვს მე და ჩემი მეგობრები სახლიდან გავიპარეთ და ეკლესიაში წმინდა ვალენტინს სანთლები დავუნთეთ. იტალიის გამარჯვება შევთხოვეთ. მატჩის მერე, ჩვენებმა რომ იმარჯვეს, მეგობრებს გვეგონა, რომ შეხვედრა როსიმ კი არა ჩვენ მოვიგეთ! — ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინ განაცხადა, მაშინ ჯერ კიდევ „მილანში“ მოთამაშე ჯანლუიჯი ლენტინიმ.

მოგება ყველას სურდა, თუმცა გამარჯვებული ორივე ვერ იქნებოდა. იმ საღამოს ერთი გუნდი და მისი გულშემატკივრები უნდა დამწუხრებულიყვნენ.

შეხვედრის მეხუთე წუთზე ენცო ბეარზოტის ნალმა იფეთქა — პაოლო როსიმ ვალდირ პერესის კარი დალაშქრა. იტალია წინ გავიდა! მალე სოკრატესმა გაათანაბრა. 25-ე წუთზე როსი კვლავ აფეთქდა — გოლი შეაგდო და „სკუადრა აძურა“ კვლავ დააწინაურა! მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა ისევ გაათანაბრეს — ფალკაომ მოახერხა ძოფის კარის აღება. და ბოლოს პაოლო როსი კვლავ იქ გაჩნდა, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო — მესამე გოლი ვალდირ პერესის კარში. მესამე გოლი პაოლო როსისგან!

ის შეხვედრა სამუდამოდ შევიდა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. მატჩენეს კუთვნილება გახდა თავად პაოლო როსის თამაშიც. ის გახლდათ მატჩი, რომელშიც ერთი შეხედვით დაცვითი ფეხბურთის მქადაგებელმა იტალიამ შემტევი ფეხბურთის ტრფიალ ბრაზილიას სწორედ თავდასხმაში აჯობა.

პაოლო როსი, მოთამაშე რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ ციხეში იჯდა, იტალიის ეროვნულ გმირად შერაცხეს.

ბრაზილია ბრაზილიად, მაგრამ იტალიელებს მსოფლიოს ჩემპიონობა მხოლოდ ოკეანისგაღმელთა ძლევით არ მოუპოვებიათ. „სკუადრა აძურამ“ კიდევ ორი ურთულესი შეხვედრა მოიგო პოლონეთთან ნახევარფინალში და გერმანიასთან ფინალში. ოქროს თასი ენცო ბეარზოტიმ აღაპყრო. წუთის შემდეგ პაოლო როსიმაც.

მსოფლიოს ჩემპიონობა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელობა, მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელის პრიზი — ეს ყველაფერი 26 წლის პაოლო როსიმ ერთ თვეში მოიგო. იგი უდიდეს აღიარებას შეწვდა მოკლე პერიოდში, მაშინ, როცა სხვები საამისოდ წლობით იბრძვიან, ზოგჯერ კი მაინც ვერ აღწევენ ხოლმე.

**პაოლო როსი**

დაიბადა 1956 წლის 23 სექტემბერს იტალიის ქალაქ პრატოში.
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,74
წონა: 66 კგ
კლუბები: „იუვენტუსი“ (იტალია, 1972-75); „კომო“ (იტალია, 1975-76); „ვიჩენცა“ (იტალია, 1976-79); „პერუჯა“ (იტალია, 1979-80); „იუვენტუსი“ (იტალია, 1981-85); „მილანი“ (იტალია, 1985-86); „ვერონა“ (იტალია, 1986-87)
ტიტულები: იტალიის ჩემპიონი — 1973, 75, 82, 84; იტალიის თასი — 1983; ჩემპიონთა თასი — 1985; თასების მფლობელთა თასი — 1984; ევროპის სუპერთასი — 1985; საკონტინენტთაშორისო თასი — 1985; მსოფლიოს ჩემპიონი — 1982; მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1982 (6 გოლი); მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე — 1982
ნაკრებში 48 თამაშში გაიტანა 20 გოლი (1977-86)

ახლა ხშირად გაიგონებთ პაოლო როსი დიდი ვერაფერი ფეხბურთელი იყო, ერთი ტურნირი ითამაშა და მორჩაო, მაგრამ ეს მცდარი აზრია. ესპანეთში როსი უდავოდ საუკეთესო იყო, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და ნაკრების ბრწყინვალე წარმატებაში უდიდესი წვლილი დაიდო. მოგვიანებით, როცა მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოყოლილი ემოციები ჩაცხრა, ყველა მიხვდა, რომ პაოლო როსი ნამდვილად ძლიერი მოთამაშე იყო — ტურინის „იუვენტუსში“, პერიოდულად კი ნაკრებშიც, როსი როსობდა.

1982 წელს, ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ „იუვენტუსის“ ტანმორჩილ ფეხბურთელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო „ოქროს ბურთი“ მიანიჭა. მოგვიანებით როსი ინგლისურმა „უორლდ სოკერმა“ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა. აღიარება სამართლიანი გახლდათ.

საკმაოდ ხანგრძლივი კარიერის მანძილზე პაოლო როსიმ უამრავ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ზემოთ მხოლოდ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთქვით. ალბათ იმიტომ, რომ პაოლო როსი მთელი თავისი ბრწყინვალებით სწორედ ესპანეთში ვიხილეთ.

# არ გავამხილოთ ანგარიში



განთქმული საფეხბურთო წამყვანი ჯონათან პირსი ადრე რადიოში მუშაობდა. ამიტომ, რადიოს უხვსიტყვაობა ტელერეპორტაჟების დროსაც ვერ დაივიწყა

ალბათ ჩავიხედოთ ინგლისურ საფეხბურთო ოხუნჯობათა ზანდუკში.

ამ ჯერზე იქაურ კომენტატორთა გამონათქვამები, ასე ვთქვათ, იქაური „ბათუმი, სოხუმი, ფოთუმი“ გადავათვალიეროთ და დავრწმუნდეთ, რომ საფეხბურთო კომენტარი ყველა ქვეყანაში მოულოდნელობებითაა სავსე.

თუმცა, იქაურ კომენტარში ნაღდი იუმორის ნაკლებობაც არ შეინიშნება.

***

**ტრევორ ბრუკინგი: „ლივერპულისა“ და „ევერტონის“ მატჩები ყოველთვის ოთხმოცდაათ წუთში თავრდება და, ალბათ, ახლაც ასე იქნება“.**

***

კევინ კიგანი: „სტივ მაკმანამანს სტივ ჰეივეის ადარებენ, მაგრამ მაკმანამანი არ ჰგავს ჰეივეის. მე გეტყვით რატომ — ის განსხვავებულია“.

***

**ხავიერ კლემენტე: „შოტლანდიელებს არატრადიციული გუნდი ჰყავთ. მათ კარგი ფეხბურთელები შეუკრებიათ“.**

***

ელტონ ვებსლი: „განვაგრძობთ მიმოხილვას. ახლა კი გოლები „ქრიუ როუდის“ მინდვრიდან. იქ თამაში ნოლით ნოლზე დამთავრდა“.

***

**ბარი დევისი: „პოლონეთი ნოლი, ინგლისი ნოლი. ინგლისისთვის ნოლი მეტად ძვირფასია“.**

***

დომინიკ დაიმონდი: „ფეხბურთი რომ ლოვნება იყოს, ღმერთი ფეხბურთელად არ გააჩენდა კარლტონ პალმერს“.

***

**ბრაიან მური: „რუსენბორგმა საოცდაექვსი თამაში მოიგო და ყველა მოგებულ თამაშში გაიტანა ერთი გოლი მაინც“.**

***

ელტონ ვებსლი: „ფეხბურთი რომ არ განვითარებულიყო, მას ძველებურად ითამაშებდნენ“.

***

**ტერი მაკდერმოტი: „რობ ლი ძალიან მაგონებს კენი დალგლიშს. განსაკუთრებით მაშინ, როცა უკანალს მიუშვერს ხოლმე მოწინააღმდეგეს“.**

***

დევიდ ლეისი: „ბეტი ვალსს რომ ცეკვავდეს, მაინც მიიღებს ყვითელ ბარათს“.

***

**დევიდ კოლმენი: „მოდით, არ გავამხილოთ ამ ბრწყინვალე მატჩის ანგარიში და კიდევ ერთხელ ვნახოთ იტალიელთა ერთადერთი გოლი ჩვენს კარში“.**

***

ჯონ მოტსონი: „რაღაც ბევრად საინტერესო უნდა მეთქვა, ვიდრე ეს გოლი იყო“.

***

**ბობ ბივენი: „გავიგე, რომ ტონი ადამსი შველას ითხოვს. ბედად ჩაფსმული არ არის. უბრალოდ, ცდილობდა, ბოძისთვის აეცილებინა მანქანა“.**

**გადმოაქართულა**
**ირაკლი გამყრელიძე**



სარბიელის არქივიდან

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია „უემბლის“ კაპიტალურ რეკონსტრუქციას აპირებს, რომელსაც მსხვერპლად სტადიონის სიმბოლოდ ქცეული ორი კოშკურაც შეეწირება, მათი დანგრევა ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ. „უემბლის“ რეკონსტრუქცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტადიონი ძირფესვიანად შეიცვლის სახეს, უბრალოდ, სარბიელს უფრო თანამედროვე სახე მიეცემა.

რაც შეეხება ფეხბურთელთა აზრს, „ოქროს ბურთის“ პირველმა ლაურეატმა სერ სტენლი მეტიუზმა განაცხადა, თუ „უემბლის“ ამ ორი კოშკის გარეშე დატოვებენ, პირადად მე ძალიან მეწყინება. ჩემი აზრით, სტადიონის სიმბოლოები ხელუხლებელი უნდა დარჩეს და სხვა ადგილები შეკეთდესო.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ლევერკუზენი — ნიურნბერგი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ჰამბურგი — აინტრახტი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| დუისბურგი — ბოხუმი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| კიოლნი — ფიურტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ზანკტ პაული — ფორტუნა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ულმი — ურდინგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| არმინია — ვატენშტაიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| 16 ნოემბერი | | | |
| კარლსრუე — გოუტერსლო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| არსენალი— ტოტენჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჩელსი — უიმბლდონი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლივერპული — ლიდსი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მანჩესტერი — ბლექბერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| საუთჰემპტონი — ასტონ ვილა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვესტ ჰემი — ლესტერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ქოვენთრი — ევერტონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16 ნოემბერი | | | |
| ნოტინგემი — დერბი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ბარნსლი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ბირმინგემი — ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბოლტონი — ტრანმერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ბრედფორდი — სვინდონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ქრიუ — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კრ. პალასი — ბრისტოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გრიმსბი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პორტ ვეილი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბერი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| სტოკპორტი — უოტფორდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვესტ ბრომვიჩი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| რენი — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მარსელი — ლანსი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| ბასტია — მონაკო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — სოშო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ტულუზი — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მონპელიე — ოსერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| მეცი — ნანტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ლე ავრი — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სტრასბური — ლორიანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| ბარი — მილანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ემპოლი — კალიარი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ინტერი — სამპდორია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| პარმა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| პიაჩენცა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| რომა — იუვენტუსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სალერნიტანა — პერუჯა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ვენეცია — ლაციო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ვიჩენცა — ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ტერნანა — რავენა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ნაპოლი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ჩეზენა — რეჯინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კოზენცა — მონცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ფ. ანდრი[illegible] — ტრევიზო | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| ჯენოა — კრემონეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ლუკეზე — ლეჩე | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| რეჯანა — კოევო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — პესკარა | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| ვერონა — ატალანტა | 1,6 | 2,8 | 6,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| რეალი — სელტა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 15 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვილიარეალი — ატლეტიკო | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ვალიადოლიდი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა — ტენერიფე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ოვიედო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ბეტისი — სოსიედადი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სარაგოსა — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რასინგი — სალამანკა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ესტრემადურა — ვალენსია | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ეიბარი — ორენსე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ბარსელონა B — ლეგანესი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლას პალმასი — კომპოსტელა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ოსასუნა — მალაგა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ალბასეტე — მერიდა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტოლედო — რეკრეატივო | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| სპორტინგი — სევილია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მალიორკა B — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ატლეტიკო B — ლეიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რაიო ვალეკანო — ლოგრონიესი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ამადორა — გიმარაეში | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| კამპომაიორენსე — პორტო | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 15 ნოემბერი | | | |
| შავეში — ლეირია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სეტუბალი — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სპორტინგი — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ბენფიკა — ბრაგა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| რიუ ავე — მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეირამარი — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| გრააფსხაპი — როდა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მაასტრიხტი — აკლმაარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნაიმეგენი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ტილბურგი — ბრედა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვიტესი — უტრეხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვალვაიკი — სპარტა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ფეიენოორდი — სიტარდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| აიაქსი — ეინდჰოვენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| სტ. ტრუიდენი — გენკი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლომელი — გენტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოკერენი — ლიერსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მუსკრონი — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვესტერლო — ბევერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ანდერლეხტი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეკერენი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ბრიუგე — შერლერუა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ჰარელბეკი — ოსტენდე | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ლკს — ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გურნიკი — რუხი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პოგონი — ვისლა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ოდრა — ბელხატოვი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პოლონია — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტომილი — ამიცა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლეხი — რაძიონკოვი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,7 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ზაგლებე — კატოვიცე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ალთაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქარაბუქი — საქარია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფენერბაჩე — გაზიანთეფი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ისთანბული — ბურსა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ადანა — ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გენჩლერბირლიგი — ანთალია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| გალათასარაი — ტრაბზონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| სამსუნი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| დანდი — კილმარნოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მოზერველი — ჰართსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეინჯერსი — აბერდინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 15 ნოემბერი | | | |
| დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| გრაცერი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |
| ტიროლი — შტაირი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ლინცერი — შტურმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| რაპიდი — აუსტრია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ციურიხი — ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ბაზელი — სტ. გალენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუცერნი — ქსამაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| არაუ — იანგ ბოისი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სიონი — ლუგანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჰოკეი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ბოსტონი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ბუფალო — ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტორონტო — ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| მონრეალი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| პიტსბურგი — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| სენტ ლუისი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფინიქსი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ჩიკაგო — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 16 ნოემბერი | | | |
| კალგარი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ესპანეთის სამეფო კარი ქართველმაც დაამხო


REUTERS სტამბოლიდან

ვილერბანელმა კროუფორდ პალმერმა (15) პაოკ-ის ფრენკი კინგს (11) ბურთი წაართვა

„სტეფანიამ გვიჩვენა, რომ ფანტასტიკური კალათბურთის თამაში თეთრებსაც შეუძლიათ. „სიეტლ სუპერსონიქსმაც" ტყუილად როდი ამოირჩია დრაფტის პირველსავე წრეში" — წერია ესპანური გაზეთის „ელ პაისის" გუშინდელ ნომერში.

ამ პატივცემულ გამოცემას დიახაც დაეჯერება და ქართველების გულს ეს ამბავი მხოლოდ თუ გაახარებს. სტეფანია სტეფანიად, მაგრამ მისმა „ოლიმპიამ" ნამდვილად სასწაული მოახდინა და ზედიზედ ხუთ მატჩში დაუმარცხებელი „რეალი" შინ ბეჭებზე გააკრა.

თამაში მადრიდიდან 20 კილომეტრში, ტორეხონში, 4 ათასი მაყურებლის წინაშე გაიმართა. უკვე მე-6 წუთზე სლოვენიელები ზდოვცისა და მაკდონალდის წყალობით 13:9 იგებდნენ. მერე მადრიდელთა მაღალი ბელგიელი სტრიულენსი და ანგულო ათამაშდნენ და ცოტა ხანში უკვე „რეალი" იყო წინ — 20:16. ტაიმი 37:37 დასრულდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლები 6 ქულით დაწინაურდნენ.

აქ „ოლიმპიამ" დაცვას მოუჭირა და წონასწორობაც აღდგა. არიელ მაკდონალდმა აიწყვიტა და დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე „ოლიმპია" 67:62 დაწინაურდა. ესპანელ ლასას შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ თანაგუნდელმა ერეროსმა არ დაანება და, მისდა საუბედუროდ, თავად მიიწევა ანტი-გმირის იარლიყი. ლასას სამქულიანის შემდეგ ანგარიში 68:67 გახდა. დამთავრებამდე 19 წამით ადრე ბურთი კვლავ „რეალისა" იყო. ლასამ გონივრულად გაწელა დრო და გახსნილ ერეროსს დროულად მიაწოდა ბურთი. ამან კი საშუალო მანძილიდან ააცილა და მთელი სამეფო კარი დაამწუხრა. ამით „რეალსა" და „ოლიმპიას" თანაბარი ქულები დაუგროვდათ.

იმდენივე ქულა გაუხდა ფრანგულ „ვილერბანსაც", რომელმაც უმძიმესი მატჩი მოიგო სალონიკში, პაოკ-თან. ფრანგები თავიდანვე გაფთრების იბრძოდნენ და უცბად მოახერხეს 21-ქულიანი უპირატესობის მოპოვება. თავმოყვარე ბერძნებმა იუკადრისეს ამგვარი შეურაცხყოფა და ყველაფერი გაიღეს სიტუაციის გამოსასწორებლად. ეგ იყო, „ვილერბანი" თავიდან აღებულ ტემპს არ ანელებდა და კიდევ, მას ჰყავდა კროუფორდ პალმერი, ვინც ქულებიც ბლომად აგროვა და 17 ბურთიც მოხსნა (საკუთარ ფარზე — 13).

ადრეც ვამბობდით, ოდედ კატაშმა „მაკაბი" გამოაცოცხლაო. ეტყობა, ებრაული კლუბის თავკაცებს სიახლეები კიდევ სურდათ და ზედ „ეფესთან" მატჩის წინ მწვრთნელი გამოცვალეს. იორამ ჰარუშს არ ეპატია ევროლიგაში სუსტი გამოსვლა და მისი ადგილი პინი გერშონმა დაიკავა. ეს გერშონი „მაკაბის" დიდი სპეციალისტი ყოფილა. 1993 წელს „ჰაპოელ გალილ ელიონის" მწვრთნელი იყო და „მაკაბის" 23-წლიანი ბატონობის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონობა წაართვა. 1996 წელს კი „ჰაპოელ იერუსალიმს" თავკაცობდა და ამჯერად „მაკაბის" ისრაელის თასი ააცალა. აი, თურქებს კი ვერაფერი გაუგო გერშონმა. „ეფესის" ნაუმოსკი კატაშს აედევნა, ბესოქმა ფარი დაიპყრო (19 მოხსნა), სარიჯამ კი გაიღალა და ოთხი სამქულიანიც ჩააგდო.

ამ ჯგუფის ლიდერმა „პანათინაიკოსმა" კვლავ იმარჯვა, ოღონდ დიდი გაჭირვებით. 7 ათასი გულშემატკივრის ღრიალით გულმოცემულმა „ცრვენა ზვეზდამ" თანაბარი ბრძოლა გაუმართა ბერძნებს. დინო რაჯა რომ არ ყოფილიყო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. ხორვატი ფარზე გაბატონდა (13 მოხსნა) და თანაგუნდელების აცილებულ ბურთებს კალათში უშვებდა.

ლიდერი შეიცვალა A ჯგუფში. ნაკლებად სავარაუდო იყო „ჟალგირისის" გამარჯვება სტუმრად, „ვარეზესთან". ლიტველებმა კი კოლექტიური თამაშის საუცხოო მაგალითი უჩვენეს იტალიელებს და პროგნოზები თავდაყირა დააყენეს. „ვარეზეს" მოთამაშეებს ფარისკენ გახედვისა, წესით, უნდა შერცხვეთ, რადგან „ჟალგირისმა" ამ კომპონენტში 52:24 იმარჯვა. არადა, ტაიმი იტალიელებმა 37:35 მოიგეს. მეორეში კი ადომაიტისმა სამი სამქულიანი ჩააგდო. ამერიკელმა ბოუიმ მოედნიდან ნაადრევად გაისტუმრა მენეგინი, „ჟალგირისმა" კი უკვე მეორედ დაამარცხა „ვარეზე".

ლიტველთა გალიდერებაში კი „ფენერბაჰჩემ" ითამაშა დიდი როლი. უფრო სწორად, „ტაუგრესმა", რომელმაც მოულოდნელად სძლია ჯგუფის ფავორიტს. თურქთა ლიდერები ქუთლუაი, მაკრეი, მილიჩი და ტაბაკი თავიანთ აჩრდილებს ჰგავდნენ, რითაც ისარგებლეს უსახურმა ტაუგრესელებმა და მეორე გამარჯვება მიითვალეს. „ფენერბაჰჩეს" ზაზა ენდენმა (ენდელაძემ) ათი წუთი ითამაშა, რაც ისროლა, ყველაფერი ჩააგდო, ოღონდ 7 ქულით და 4 ჯარიმით თავისიანებს ვერ უშველა.

ამავე ჯგუფში ბოლო ადგილზე დაფუძნდა სარატოვული „ავტოდორი", რომელმაც დამატებით დროში დათმო მატჩი „პო ორტეზთან". საფრანგეთის ჩემპიონმა ცუდად დაიწყო და 0:11 აგებდა. გამოფხიზლების შემდეგ „პო ორტეზი" მიუახლოვდა მეტოქეს, ოღონდ მერე მუდამ ჩამორჩებოდა. ფრანგებმა იჩალიჩეს და შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანა მოახერხეს, იქ კი გამთამაშებელმა ფატუმ გაიბრწყინა — ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და გუნდი ლიდერებში დატოვა.

რუსულმა არმიამ მთლად გადასანსლა თურქული საკონდიტრო წარმოება. თუკი ცსკა-მ შინ მცირე სხვაობით აჯობა „ულქერს", ამჯერად, სტამბოლში, მთლად ალგავა პირისაგან მიწისა. გაოგნებული თურქები კაცს კაცზე ცვლიდნენ, ესენი კი პირდაღებულნი უცქეროდნენ, თუ როგორ ავსებდა მათ კალათს ბელარუსი ვალერი დაინეკო. კარგად გაისარჯა ვასილი კარასიოვიც, რომელიც ევროლიგაში 50-ე მატჩს ატარებდა. სალდათებს საჯარიმოების ჩაგდების ძალიან მაღალი პროცენტი აღმოაჩნდათ (81,5). ამ მხრივ ტიხონენკო (ექვსიდან ექვსი), პანოვი და იგივე დაინეკო (ორივეს — სამიდან სამი) გამოირჩნენ.

არ შეცვლილა ლიდერი C ჯგუფში. ბერძნული „ოლიმპიაკოსი" კვლავ მაგრად დგას. ამ ტურში მეტოქე ვერ ჰყავდა სათანადო, რაც ანგარიშშიც შესანიშნავად აისახა. საკითხავი ისაა, რა უნდა ევროლიგაში ბერლინის „ალბას", ისევე როგორც მისებრ გაუხარელ რუსულ „სამარას". ვოლგისპირელები ამჯერად იტალიურ „ტიმსისტემს" შემოელახნენ. სამარელთა ხუთეული, რამდენადაც შეეძლო, უძალიანდებოდა ცალკე მულაომეროვიჩს, ცალკე — მაიერსს, ცალკე — ფუჩკას, მაგრამ რაც გააწყვეს, ანგარიშშიც ჩანს. ხუთეული ტყუილად არ გვიხსენებია: თამაშში ჩართულმა ოთხმა სათადარიგო რუსმა ჯამში მხოლოდ 2 (!) ქულა მიითვალა.

ორმა ხორვატულმა გუნდმა კი სრულიად განსხვავებულად ითამაშა. „ციბონა", ჩანს, გამოერკვა ბოლოდროინდელი ნოკდაუნებისგან და გორდან გირიჩეკის მეთაურობით დააწიოკა ესპანური ტდკ. „ზადარმა" კი შესუსტებულ „კინდერთანაც" (ფროსინი და სკონოჩინი აკლდა) ვერაფერი მოახერხა. ხორვატთა ძლევაში განსაკუთრებული ღვაწლით გამოირჩა ევროლიგის შარშანდელი გამარჯვებულის იუგოსლავიური სამეული: დანილოვიჩი-პასპალი-მაკრისი (ნესტეროვიჩი) და იტალიელი კლაუდიო კრიპა, რომელიც აპენინელმა კალმოსნებმა საფეხბურთო „იუვენტუსის" ხისთავიან მოთამაშე ანჯელო დი ლივიოს შეადარეს — მასავით არაშემოქმედი, მაგრამ შავი მუშაკი.

**ზეზვა მიზრიაული**


REUTERS სტამბოლიდან

მაკაბელი ოდედ კატაში (10) ეფესელ მურად ევლიაოღლუს გაურბის

## ევროლიგა. VII ტური. 11-12 ნოემბერი

### A ჯგუფი

**ვარეზე 75:84 ჟალგირისი**

ვარეზე: დე პოლი (21), გალანდა (2), მენეგინი (10), მრშიჩი (25), პოცეკო (8), სანტიაგო (2), ვესკოვი (5), ზანუს-ფორტი (2)

ჟალგირისი: ადომაიტისი (20), ბოუი (13), ედნი (14), მასიულისი (4), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (13), ზიდეკი (12), ე. ჟუკაუსკასი (4), მ. ჟუკაუსკასი (4)

**ტაუგრესი 63:57 ფენერბაჰჩე**

ტაუგრესი: ანგულო (16), ბენეტი (7), ბერიჩი (18), ესპილი (4), გარბახოსა (9), გერკე, მახოვსკი, მილერა (6), ცვიკერი (3)

ფენერბაჰჩე: აბი, აფაიდინი (19), ენდენი (7), კალამიზა, ქუთლუაი (10), მაკრეი (10), მილიჩი (6), ტაბაკი (5)

**ავტოდორი 83:86 პო ორტეზი**

ავტოდორი: შტელმახერსი (12), ზ. პაშუტინი (25), ფეტისოვი (19), ეინიკისი (19), ჩიკალკინი (2), ხრიაპა (6)

პო ორტეზი: ფატუ (12), აიშა (7), ფუარე (21), ტ. გადუ (11), ლორთრიჯი (8), დ. გადუ (3), გრანტი (17), სხოლტენი (5), სმიტი (2)

### B ჯგუფი

**ცრვენა ზვეზდა 74:76 პანათინაიკოსი**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (20), იესტრატიევიჩი (8), პავიჩევიჩი, პოპოვიჩი (5), რადმანოვიჩი (2), რაკოჩევიჩი (20), სტანოევიჩი (12), ტოპიჩი (7)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (19), ბოდიროგა (16), ბუდურისი (1), ბურკე (2), ეკონომუ (7), ჯენტილე (6), კოხი (2), რაჯა (23)

**ტდკ 67:79 ციბონა**

ტდკ: კაპდევილა (2), კრეუხი (11), გონსალესი (7), ლავინია (2), მილი (17), მონტანესი (7), მოტი (14), სინგლა, ვასკესი (7)

ციბონა: ატკინსი (22), გირიჩეკი (32), გრეი (6), გრგატი (5), პრკაჩინი (2), სარლია (4), ვრანკოვიჩი (8)

**ეფესი 81:74 მაკაბი**

ეფესი: აიდინი, ბესოქი (10), დრობნიაკი (12), ევლიაოღლუ (13), ნაუმოსკი (15), სარიჯა (22), თურქოღლუ (9)

მაკაბი: ალექსანდერი (24), გუდესი, ჰენფელდი (12), კატაში (12), პოპა (2), შარფი (8), შეფერი (14), შელეფი (2)

### C ჯგუფი

**კინდერი 62:53 ზადარი**

კინდერი: რიგოდო (8), აბიო, დანილოვიჩი (24), პასპალი (6), მაკრისი (4), კრიპა (10), პანიჩი (3), ოსალივანი (7), ბინელი

ზადარი: ერიაველი (8), ლუისი (5), ი. რუჟიჩი (17), ნაგლიჩი, კოვაჩიჩი (7), მუიაჯიჩი (3), ერცეგოვიჩი (4), მალოჩა (9)

**ოლიმპიაკოსი 94:65 ალბა**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (12), ფასულასი (4), გოლდვაიერი (6), კომაზეცი (19), ობერტო (10), პაპანიკოლაუ (10), როჯერსი (11), სულისი (4), ტარლაკი (9), ტომიჩი (9)

ალბა: ალექსისი (13), ბოგოევიჩი (4), ფემერლინგი (8), გარისი (5), პამინკი (6), ლუტკე (1), მარასი, ნაკიჩი (12), პეშიჩი (11), როდლი (5)

**ულქერი 64:91 ცსკა**

ულქერი: ალიშოჯიჩი (4), ანდერსონი (4), ერდენაი (22), ფირინჯიოღლუ (6), კოტუროვიჩი (9), რენკინი (14), თექინალფი, თუნჯერი (2), ილდირიმი (3)

ცსკა: დაინეკო (27), გუტოროვი (1), კარასიოვი (16), კისურინი (7), კუდელინი (6), ნოსოვი (4), პანოვი (19), ტიხონენკო (11), ვეტრა

### D ჯგუფი

**სამარა 59:71 ტიმსისტემი**

სამარა: დოლოპჩი (7), ევანსი (18), გარშინი, ჰიუსტინი (16), იაილო (12), კისელიოვი, მალცევი (4), მელეშჩენკო, საიტანი (2)

ტიმსისტემი: ჩაკიგი (2), დილგლაი (14), ფუჩკა (13), გაი (4), ლაცისი (11), მორეტი, მულაომეროვიჩი (16), მაიერსი (11)

**პაოკ 65:69 ვილერბანი**

პაოკ: ბალოიანისი (2), ბერი (14), კოლდებელა (4), იანულისი (2), კინგი (15), მ. სლარინოსი, მორალესი (17), ნიკოლაიდისი (11)

ვილერბანი: ადამსი (8), ბილბა (6), ბლომი, დიგბო, პალმერი (28), პლუვი (6), რადი (15), სონკო (6)

**რეალი 67:68 ოლიმპია**

რეალი: ლასა (5), ანგულო (19), ერეროსი (5), სტრიულენსი (10), ბერდი (21), სანტოსი, მარტინი (3), ლიუკი (4)

ოლიმპია: მაკდონალდი (19), ზდოვცი (12), კოტნიკი (5), კრალევიჩი, სტეფანია (12), ტეილორი (5), იურკოვიჩი (8), დანეუ (3), დუშჩაკი (4)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | — | 64:59 | 70:67 | 97:81 | 10.12 | 19.11 | 5 | 2 | 578:559 | 12 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | — | 19.11 | 94:75 | 96:75 | 80:76 | 4 | 3 | 533:510 | 11 |
| 3 | პო ორტეზი | 17.12 | 73:48 | — | 10.12 | 81:71 | 74:71 | 4 | 3 | 542:520 | 11 |
| 4 | ვარეზე | 75:84 | 17.12 | 89:77 | — | 86:78 | 95:73 | 3 | 4 | 571:576 | 10 |
| 5 | ტაუგრესი | 91:97 | 63:57 | 88:84 | 19.11 | — | 17.12 | 3 | 4 | 547:565 | 10 |
| 6 | ავტოდორი | 87:82 | 10.12 | 83:86 | 73:70 | 64:81 | — | 2 | 5 | 527:568 | 9 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | — | 77:63 | 74:58 | 67:58 | 18.11 | 77:71 | 7 | 0 | 524:447 | 14 |
| 2 | ეფესი | 16.12 | — | 82:74 | 81:74 | 80:57 | 73:60 | 6 | 1 | 515:475 | 13 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | — | 72:65 | 67:79 | 74:59 | 3 | 4 | 473:481 | 10 |
| 4 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | — | 76:57 | 10.12 | 2 | 5 | 471:496 | 9 |
| 5 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 54:61 | 17.12 | — | 77:80 | 2 | 5 | 454:499 | 9 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 74:76 | 19.11 | 17.12 | 67:70 | 66:69 | — | 1 | 6 | 477:516 | 8 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | — | 55:50 | 17.12 | 58:72 | 71:55 | 94:65 | 6 | 1 | 516:467 | 13 |
| 2 | კინდერი | 67:72 | — | 9.12 | 66:49 | 62:53 | 78:52 | 5 | 2 | 458:398 | 12 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | — | 82:76 | 19.11 | 86:75 | 4 | 3 | 545:511 | 11 |
| 4 | ულქერი | 19.11 | 17.12 | 64:91 | — | 62:55 | 76:65 | 4 | 3 | 484:490 | 11 |
| 5 | ზადარი | 10.12 | 55:65 | 82:79 | 73:85 | — | 16.12 | 2 | 5 | 458:502 | 9 |
| 6 | ალბა | 83:85 | 18.11 | 63:70 | 10.12 | 78:85 | — | 0 | 7 | 481:574 | 7 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | — | 9.12 | 17.12 | 71:66 | 80:66 | 92:69 | 5 | 2 | 514:475 | 12 |
| 2 | რეალი | 71:70 | — | 67:68 | 17.12 | 77:69 | 101:72 | 5 | 2 | 548:508 | 12 |
| 3 | ოლიმპია | 64:54 | 76:84 | — | 57:45 | 19.11 | 10.12 | 5 | 2 | 466:459 | 12 |
| 4 | ტიმსისტემი | 18.11 | 66:73 | 63:66 | — | 76:61 | 77:58 | 3 | 4 | 464:445 | 10 |
| 5 | პაოკ | 65:69 | 87:75 | 76:68 | 9.12 | — | 85:66 | 3 | 4 | 509:511 | 10 |
| 6 | სამარა | 74:78 | 19.11 | 60:67 | 59:71 | 17.12 | — | 0 | 7 | 458:571 | 7 |

## ძალოსნობა



# გიორგი ასანიძის სიხარული და ტკივილი

მსოფლიოს რეკორდის დამყარება რამხელა ამბავია, თავადაც მოგეხსენებათ, მით უფრო იმ სპორტსმენისთვის, ღარიბ-ღატაკი ქვეყნიდან რომ არის და ხეირიანად ვერ ვარჯიშობს. არადა, კაცს შეგიძლია, არავისზე ნაკლები არ ხარ და, რაც მთავარია, სურვილიც გკლავს გამარჯვებუთა კარცხლბეკზე იდგე.

გუშინ გიორგი ასანიძემ ქომაგთ დიდი სიხარული გვაჩუქა, მაგრამ ამ სიხარულს აკლდა მარილი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მედალი ჰქვია.

საჩხერელი ათლეტი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, არადა, ფიცარნაგზე გასვლის პირველი წუთებიდან ისე ირჯებოდა, მისი წარმატება კაცს აღარ დაგაეჭვებდა.

გიორგიმ 168 კგ აიტაცა, მსოფლიოს რეკორდსმენიც გახდა და მცირე ოქროს მედალსაც გამოჰკრა ხელი. ჯერი მეორე მოძრაობაზე — აკვრაზე მიდგა, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ასანიძემ 195 კგ აჰკრა და ვერცხლიც მოიპოვა. ლახტიში ამ შედეგის გამეორება წარმატების საწინდარი იყო, ეტყობა, გიორგიმაც ეს იგუმანა და პირველ ცდაზე 190 კგ-ის დაძლევის მერე სწორედ 195-კილოგრამიან შტანგას შეეჭიდა.

ზუსტად ვერ გეტყვით, რას განიცდიან ძალოსნები, როდესაც რკინის ძელაკს ხელს შეახებენ, როდესაც იციან, რომ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯილა რჩებათ და მიუხედავად დიდი მონდომებისა, სიმძიმეს ვერ დაიმორჩილებენ. არ ვიცი, რას გრძნობდა იმ წუთებში გიორგი ასანიძე, როცა შტანგას ვერაფერი დააკლო, ერთი კია, მის სახეზე მხოლოდ იმედგაცრუებასა და ტკივილს წაიკითხავდი კაცი.

ასანიძე სიმძიმესთან დამარცხდა, 77 კგ წონითი კატეგორიის ძალოსნებში ის მეექვსე იყო. დამარცხდა, მაგრამ ძალოსნურ სამყაროში თავისი სიტყვა თქვა, თანაც საკმაოდ ხმაურიანი და ფასდაღებული — მსოფლიოს რეკორდის დამყარება როდი საქმეა!

**სოსო ძოტორეიშვილი**

## სპორტული ცეკვები

# სამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა



საკალათბურთო ბატალიებისგან დასვენებული (ჩვენს ჩემპიონატში, მოგეხსენებათ, შესვენებაა) ვერის ბაღის კალათბურთის დარბაზი ახლახან უჩვეულოდ ახმაურდა და აფერადდა. აქ გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და მსოფლიოს ღია ჩემპიონატები სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში, რომელთა თაოსანიც, ტრადიციულად, საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია გახლდათ. ქართველ მოცეკვავეებს ესტუმრნენ რუსი, უკრაინელი, მოლდოველი, ბელარუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები — თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები.

ევროპულ ცეკვებში საუკეთესონი იყვნენ ბელარუსები ანდრეი ტიაბუტი და ანა მიხედი. მეორე ადგილზე გავიდნენ მოსკოველები ალექსეი გალჩუნი და ტატიანა დიომინა. ჩვენები, დავით კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. საპრიზო ადგილები ორივე ჩემპიონატში სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

მაყურებელთა ინტერესი ლათინურამერიკული ცეკვებისადმი უფრო მეტი იყო. აქ როგორც აღმოსავლეთევროპულ, ისე მსოფლიოს ჩემპიონატებში პირველები იყვნენ მოსკოველები დმიტრი და სვეტლანა ოსტაშკინები, მეორე-მესამე ადგილებზე მასპინძლები, გიორგი ტაბატაძე - თათული გოგიშვილი და დავით კულუმბეგაშვილი - ია კვირიკაშვილი გავიდნენ.

21 ნოემბერს გერმანიის ქალაქ ბრემენჰავენში გაიმართება მსოფლიოს ოფიციალური პირველობა ლათინურამერიკულ ცეკვებში. საქართველოდან გერმანიას გაემგზავრება ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო წყვილი — გიორგი ტაბატაძე - ხათუნა გოგიშვილი.

**ლარისა გაჩეჩილაძე**

**საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი**

**ქაიროში** გამართულ მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველ სპორტსმენთა შორის სამი ინვალიდი მკლავჭიდელიც იყო. გიორგი ქეშელაშვილმა, ბესარიონ ლეკაშვილმა და გოჩა ფილაურმა პარალელურ, საგანგებოდ ინვალიდთათვის გამართულ მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზეს და თავიც ისახელეს. ქეშელაშვილი და ლეკაშვილი უძლიერესები იყვნენ მემარჯვენეთა შორის, ცაციებში კი პირველმა ვერცხლისმედალი მოიპოვა, მეორემ ბრინჯაოსა.

**ინვალიდთა ლიგის პრეს-სამსახური**

## ფრენბურთი

# ვიდრე სუსტები შინ წავიდოდნენ

გუშინ იაპონიაში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ფრენბურთში კაცთა ნაკრებებს შორის. ტურნირში 24 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ექვს ჯგუფად არიან დაყოფილნი. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ევროპის კონტინენტს ჰყავს — 11. მერე მოდიან აზია (5), ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა (3), სამხრეთ ამერიკა (2), აფრიკა (2) და ოკეანეთი (1). ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მონაწილეები სიძლიერის მიხედვით ოთხ კატეგორიად დაყო და კენჭისყრა ისე ჩაატარა, რომ ერთი და იგივე კატეგორიის ნაკრებები ერთ ჯგუფში არ მოხვედრილიყვნენ. ფრენბურთის ჩინოსნებმა უძლიერესთა კატეგორიაში იაპონია (როგორც მასპინძელი), იტალია (მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველი ნომერი), ჰოლანდია (2), კუბა (3), ბრაზილია (4) და რუსეთი (5) გააერთიანეს. დანარჩენებში კი — იუგოსლავია (6), ბულგარეთი (7), არგენტინა (8), ჩინეთი (9), აშშ (11), კორეა (13); ესპანეთი (14), პოლონეთი (15), ავსტრალია (17), კანადა (19), საბერძნეთი (21), ჩეხეთი (22); ალჟირი (26), უკრაინა (27), ეგვიპტე (35), ირანი (36), თურქეთი (42), ტაილანდი (53).

ტურნირის ფავორიტებად სპეციალისტები იტალიას და ჰოლანდიას თვლიან. სწორედ ეს ორი ქვეყანა იყო ბოლო ორი დიდი შეჯიბრის ფინალში. 1995 წელს მსოფლიოს თასს იტალია დაეუფლა, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადის ოქროს მედლები კი ჰოლანდიელებს დარჩათ.

წინასწარი ეტაპის თამაშები 15 ნოემბერს დამთავრდება. 18-დან 26-მდე მეოთხედფინალურ ჯგუფებში ჩატარდება მატჩები. 28 ნოემბერს ოთხი საუკეთესო გუნდი ფინალში გასასვლელად შეხვდება ერთმანეთს, 29-ში კი ახალი ჩემპიონიც მოევლინება მსოფლიოს.

პირველი ტურის მატჩებმა თითქმის სიურპრიზების გარეშე ჩაიარა, მხოლოდ მასპინძლები დამარცხდნენ რანგით მათზე დაბალ ესპანეთთან. ფავორიტებიდან ყველაზე მეტად ჩინეთსა და ჰოლანდიას გაუჭირდათ, შესაბამისად, უკრაინასა და ჩეხეთთან. დანარჩენ შეხვედრებში კი ბრძოლა ნაკლები იყო.

ესპანელები იაპონელების ძლევას იტალიასთან დაკავშირებულ ორ ადამიანს უნდა უმადლოდნენ. მათი მწვრთნელი ვიჩენცო დი პინტო აპენინელია და სწორედ მისი დამსახურებაა, პირინეელები მისი სამშობლოს ნაკრების დარად რომ ათამაშდნენ. ესპანელთა გამთამაშებელი რაფაელ პასკუალი კი იტალიურ ლიგაში გამოდის და ოსტატობაც იქ აიმაღლა. „მშვენიერი სტარტი ავიღეთ. ხვალ კორეასთანაც თუ ასევე ვითამაშეთ, ბედნიერი ვიქნები“ — თქვა ვიჩენცო დი პინტომ. იაპონელთა თავკაცმა ფუტოში ტერამავარიმ კი საკუთარი გუნდის ნაკლოვანებებზე გაამახვილა ყურადღება: „მიწოდება და პირველი ბურთის მიღება დასახვეწი გვაქვს. იმედია, მომდევნო მატჩებში ამას გამოვასწორებთ.“

კორეელებმა საათსა და 27 წუთში მოუგეს ეგვიპტელებს. აზიელთა რიგებში ყველაზე უკეთ კიმ სე-ჯინმა ითამაშა. „ეგვიპტური ფრენბურთი აღმავლობის გზაზეა, თუმცა მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ. მეტოქის გუნდში მახედ მოსტაფას გამოვარჩევდი. ჩვენი ნამდვილი ძალა კი მომავალ მატჩებში გამოჩნდება“ — უთხრა ჟურნალისტებს კორეის მწვრთნელმა ჯინ ჯუნ-ტაიკმა. ეგვიპტელთა თავკაცმა კი მოწინააღმდეგე შეაქო: „კორეა მშვენიერი გუნდია უძლიერესი დაცვით. დიდი გამოცდილებაც აქვთ და, ალბათ, შორსაც წავლენ.“

კანადელებს პირველ ტურში მართლაც რომ მრისხანე მეტოქე ჰყავდათ — 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონი, 1995 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი იტალია. პირველ ორ პარტიაში ევროპელებმა კანადელთა წინააღმდეგობის მიუხედავად საქმე იოლად მიიყვანეს გამარჯვებამდე — 15:10 და 15:13. მესამე ხელში კი ამერიკელებმა თეთრი დროშა აღმართეს და უბრძოლველად წააგეს 2:15. აპენინელთა მწვრთნელმა პაულო დე ფრეიტასმა, რომელსაც ზედმეტსახელად „ბებეტოს“ ეძახიან, მატჩის შემდეგ თქვა: „თითქმის უპრობლემოდ მოვიგეთ, თუმცა პირველ ორ პარტიაში საინტერესო, დაძაბული ბრძოლის მოწმენი გავხდით. ჩვენ უძლიერესად ვთამაშობთ დაცვაში, რასაც მშვენიერი თავდასხმა ემატება. მოკლედ, იაპონიაში ტიტულის შენარჩუნებას ვეცდებით და, ალბათ, შევძლებთ კიდეც.“

B ჯგუფის მეორე მატჩში აშშ-ს ნაკრებმა ტაილანდელების გასანადგურებლად ერთი საათი იკმარა — 15-3, 15-9, 15-1.

გუშინ გამართული შეხვედრებიდან ყველაზე ხანგრძლივი ჩინეთი — უკრაინა აღმოჩნდა. ჩინელებს მოსაგებად 2 საათი და 24 წუთი დასჭირდათ. „ძალიან ვწუხვარ, რომ დავმარცხდით. ცოტა უკეთ რომ გვეთამაშა, გამარჯვებასაც შევძლებდით. მეორე პარტია სულელურად წავაგეთ. ხვალ ჰოლანდიასთან ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ მცირედი შანსი ჩვენც გვაქვს“ — უკრაინელთა კაპიტანი ალექსანდრე სადჩინი უხასიათოდ იყო.

ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატ ჰოლანდიას ჩეხეთთან საკმაოდ გაუჭირდა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა შეხვედრის მეორე პარტია დათმეს კიდეც, მაგრამ მესამე და მეოთხე (საკმაოდ იოლად) მოიგეს და პირველი ორი ქულაც ჩაიწერეს აქტივში.

D ჯგუფში კუბელმა კაცებმა ქალების დარად მოგებით დაიწყეს. მათ პოლონელებს აჯობეს სამ პარტიაში. „ჩემის აზრით, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი და ბევრი საინტერესო მატჩიც გაიმართება, მაგრამ, ალბათ, მეოთხედფინალებიდან. მანამდე კი სუსტი ნაკრებები გაიცხრილებიან. პოლონეთს კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ისინი ახალგაზრდები არიან და ამიტომ გამოცდილება, რაც დროს მოაქვს, აკლიათ. ჩვენი უპირატესობა მიწოდება და დაფარებაა. მწამს, ჩვენი ქალების მიღწევას გავიმეორებთ“ — იმედიანადაა კუბელთა მწვრთნელი ხუან დიას მარინო.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი არგენტინელები ირანელებს დაუპირისპირდნენ და პირწმინდადაც მოუგეს — 15-9, 15-3, 15-7. პირველ პარტიაში სპარსელები ოდნავ გაუძალიანდნენ სამხრეთამერიკელებს, მაგრამ მერე, ეტყობა, ძალიან დაიღალნენ და თითქმის უბრძოლველად დამარცხდნენ.

E ჯგუფში ბულგარეთმა ალჟირს აჯობა. მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-7 გუნდს 26-ესთან ბოლო ორ პარტიაში ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. „ჩემი გუნდის დღევანდელი თამაშით უკმაყოფილო ვარ, მიუხედავად შედეგისა. ალჟირთან მოგება თუ ასე გაგვიჭირდა, აღვილი წარმოსადგენია, ბრაზილიასთან და საბერძნეთთან რა დღეში ჩავცვივდებით“ — ბულგარეთის თავკაცი გეორგი ვასილევი თავისი შევირდების ძალიან უკმაყოფილო იყო.

ბრაზილიამ კი უფრო იოლად მოუგო საბერძნეთს, რომელსაც, ალბათ, სლავებიც აჯობებენ, მიუხედავად მათი მწვრთნელის პესიმისტური განწყობისა. სამხრეთამერიკელებმა მთელი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარეს. ისინი დაცვაშიც და თავდასხმაშიც საუცხოოდ ირჯებოდნენ და ელინებს გამარჯვების მცირედი შანსიც არ დაუტოვეს. „კარგად ვითამაშეთ და ძალიან კმაყოფილიც ვარ. ფრენბურთში წარმატების მიღწევა თუ გინდა, კომბინაციური თამაშია საჭირო. ეს კი ნამდვილად შეგვიძლია. ნახევარფინალში გასასვლელად ვიბრძოლებთ, თუმცა არც ჩემპიონობაზე ვიტყოდით უარს“ — ბრაზილიელთა მწვრთნელი, თავისი ბულგარელი კოლეგისგან განსხვავებით, ოპტიმიზმით იყო აღსავსე.

დაბოლოს, F ჯგუფში გამართულ ორივე მატჩში სლავებმა გაიმარჯვეს, იუგოსლავიამ ავსტრალიასთან, რუსეთმა კი თურქეთთან. „კარგი დაცვა გვაქვს და ჩვენი მიწოდებაც მიწოდების სიმაღლეზეა. ძალიან კმაყოფილი ვარ. ალბათ, ჯგუფიდან უპრობლემოდ გავალთ“ — იუგების კაპიტანი ზელიკო ტანასკოვიჩი უკვე მეოთხედფინალურ ჯგუფში ხედავს თავის გუნდს. „დაძაბულ მატჩში 3:0 რომ მოვიგეთ, ბედნიერი ვარ. ასევე უნდა გავაგრძელოთ, და კარგ შედეგსაც მივაღწევთ. თურქები კარგი ფრენბურთელები ყოფილან, მაგრამ გამოცდილება აკლიათ“ — თქვა რუსთა კაპიტანმა ვადიმ ხამუტსკინმ.

მეორე ტური დღეს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან კორეა — ესპანეთი, იაპონია — ეგვიპტე, იტალია — ტაილანდი, აშშ — კანადა, უკრაინა — ჰოლანდია, ჩინეთი — ჩეხეთი, კუბა — ირანი, არგენტინა — პოლონეთი, ბრაზილია — ალჟირი, ბულგარეთი — საბერძნეთი, რუსეთი — ავსტრალია და იუგოსლავია — თურქეთი.

**გაიოზ თალაქვაძე**

### I ტური

**A ჯგუფი**

კორეა — ეგვიპტე 3:0 (15:10, 15:7, 15:6)

ესპანეთი — იაპონია 3:0 (15:11, 15:9, 15:13)

**B ჯგუფი**

იტალია — კანადა 3 : 0 (15:10, 15:13, 15:2)

აშშ — ტაილანდი 3:0 (15:3, 15:9, 15:1)

**C ჯგუფი**

ჩინეთი — უკრაინა 3:1 (14:16, 15:13, 15:12, 15:8)

ჰოლანდია — ჩეხეთი 3:1 (15:9, 13:15, 15:13, 15:4)

**D ჯგუფი**

არგენტინა — ირანი 3:0 (15:9, 15:3, 15:7)

კუბა — პოლონეთი 3:0 (15:10, 15:9, 15:11)

**E ჯგუფი**

ბულგარეთი — ალჟირი 3:0 (15:6, 15:12, 15:13)

ბრაზილია — საბერძნეთი 3:0 (15:6, 15:13, 15:6)

**F ჯგუფი**

იუგოსლავია — ავსტრალია 3:0 (16:14, 15:5, 15:4)

რუსეთი — თურქეთი 3:0 (15:6, 15:7, 15:6)



ბრაზილიელ ჟილბერტო გოდოი ფილიოსთან (მარჯვნივ) ბერძენი ვასილეიოს კოურნეტასი ვერას გახდა